# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 31 მაისი 2006 №122 (2744) ფასი 50 თეთრი



კობა ინასარიძე დორნბირნიდან

## პარადოქსი: პარაგვაი ნახევარფინალზე ფიქრობს, საქართველო პარაგვაიზე

### ვალდესმა ქართველები, ერთი, ორი, სამი...

— საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჩვენთვის ბოლო მეტოქეა და, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა ქართველებთან მატჩში შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოვავლინოთ — ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი პარაგვაის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა და ბრემენის „ვერდერის“ ერთ-ერთმა საუკეთესო მეგოლემ ნელსონ ვალდესმა, ვინც ორიოდ წუთით მოვიხელთე და ავტობუსიდან სასტუმროს ლიფტამდე გზა სულ კითხვა-პასუხით გავიარეთ...

პარაგვაის ნაკრები შვეიცარიაშია დაბანაკებული, დორნბირნში კი ყოველდღე savaრჯიშოდ ჩამოდის. გუნდი თეორიულად სწორედ ჩვენების სასტუმროში მეცადინეობს, ხოლო შემდეგ უკანვე ბრუნდება.

ასე იყო გუშინ დილითაც: ვიდრე ჩვენები სავარჯიშოდ გაემგზავრებოდნენ, პარაგვაელებს ერთსაათიანი მეცადინეობა მომთავრებული ჰქონდათ...

**— საქართველოს ნაკრებზე რა იცით?** — გავაგრძელე ვალდესთან საუბარი.

— არაფერი, გარდა იმისა, რომ იქ კობიაშვილი, კალაძე და იაშვილი თამაშობენ. კობიაშვილი ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და, მე რომ მკითხონ, ევროპაში საუკეთესოთა ათეულშიც კი დავასახელებდი. საქართველოს ნაკრების სხვა ფეხბურთელებიც თუ ამათ დონეზე თამაშობენ, მაშინ მართლაც ძალიან ძლიერი მეტოქე გვყოლია.

**— პარაგვაის შანსებს მსოფლიოს ჩემპიონატზე როგორ შეაფასებთ?**

— დღესდღეობით ჩვენი მთავარი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა, რაც არცთუ იოლი იქნება. ინგლისს, შვედეთსა და ძალიან სახიფათო ტრინიდადს უნდა ვაჯობოთ. თუმცა, ალბათ, ყველაფერი ჩვენ სასიკეთოდ დამთავრდება და მომდევნო ეტაპზე გავალთ, მერე კი ვნახოთ... ნახევარფინალი პარაგვაისთვის წარმატებად ჩაითვლება.

**— ხვალინდელ მატჩზე რას იტყვით?**

— ალბათ ჩვენ მოვიგებთ.

**— მართალია, რომ თავდასხმაში თქვენი მეწყვილე როკე სანტა კრუზი ხვალ ვერ ითამაშებს?**

— ის ტრავმირებულია, მუხლი აწუხებს, თუმცა გუშინ მსუბუქად ივარჯიშა. ვნახოთ, იქნებ ითამაშოს კიდეც...

ამასობაში ლიფტის კარიც გაიღო და ვალდესს იქ ბარე შვიდი-რვა თანაგუნდელი შეჰყვა, მავანმა კი მისსავე ენაზე ფეხბურთელს რაღაც ისეთი მწარე მიაძახა, კინაღამ გასალახად გამოუდგნენ, მეც იქაურობას სწრაფად გავეცალე...






## ბარბაროსები კი არა, ცივილიზაცია მოდის. მიდი და ეჭიდავე



ბადრი კეთილაძის ფოტო




ქართველთა მწვრთნელს მალხაზ ქეიშვილს შეთხელებული რაზმი აფიქრებს



ნავარჯიშევს კლაუს ტოპმიოლერმა დაშავებულ ალექსანდრე იაშვილსაც არ მოაკლო ყურადღება



# ტოპმიოლერმა სააკაშვილი ახსენა

## მწვრთნელი ფეხბურთელებს ქოლგებში ხარისხს უცვლის

**კობა ინასარიძე** ფოთიდან

**ცოტა ხანში** კი ფოიეში ქართველი ფეხბურთელებიც დაეშვნენ. ჯერ შოთა არველაძე ჩამოვიდა, მერე კახა კალაძე, ჯაბა კანკავა, ზურაბ ხიზანიშვილი, ალექსანდრე იაშვილი... გუნდი რომ შეიკრიბა და სავარჯიშოდ წავიდა, არსად ჩანდა ლევან კობიაშვილი, რომელიც ისევ შეუძლოდაა და ქალაქში გასეირნებასაც კი ერიდება. დღეს მისი თამაში თითქმის გამორიცხულია. ტრავმირებულნი არიან ვასილ გიგიაძე, ოთარ ხიზანეიშვილი და კახა მჟავანაძე, თუმცა მათ მსუბუქად ვარჯიში მაინც შეძლეს. სამაგიეროდ, სრული დატვირთვით ივარჯიშა ლაშა სალუქვაძემ, რომელსაც დღეს ალბათ ძირითად შემადგენლობაშიც ვნახავთ...

— დარწმუნებული ვარ, პარაგვაისთან გაცილებით უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე ახალ ზელანდიასთან. გუნდს დღითიდღე პროგრესი ეტყობა. ბიჭები ახალ ტაქტიკურ მონახაზს ნელ-ნელა ვეჩვევით — გვითხრა *ზურაბ ხიზანიშვილმა* — პარაგვაისთან მატჩი ამხანაგურია და ჩემი აზრით, ამ შეხვედრაში მთავარი ხარისხიანი ფეხბურთის თამაშია, თუმცა კარგი შედეგიც კარგი იქნება. თითქმის მთელი ევროპა გადასცემს ამ მატჩს, სტადიონზეც ბევრ ქომაგს ველით და მათ უნდა დავანახოთ, როგორი ფეხბურთი ვიცით. თუ ისევ იმდენი მომენტი გავაცუდეთ, რამდენიც ახალ ზელანდიასთან, ეს ძალიან სამწუხარო იქნება.

— ახალ ტაქტიკას ნელ-ნელა ვეჩვევითო, თქვი. უფრო კონკრეტულად?

— დაცვაში ხაზზე თამაშს. ტოპმიოლერი ოთხ მცველს ამჯობინებს, მაშინ როცა ალენ ჟირესი მუდმივად სამკაციანი დაცვით გვათამაშებდა. ოთხი მცველით და სამი შუა ნახევარმცველით თამაშს კი თავისი სპეციფიკა აქვს და ასე იოლი არ არის თავიდანვე ყველაფრის უნაკლოდ შესრულება. ტოპმიოლერი გუშინწინ რამდენიმე ფეხბურთელს ცალკე გველაპარაკა და ყველაფერი კიდევ ერთხელ აგვიხსნა. მას სჯერა და ჩვენც დაგვაჯერა, რომ შესარჩევი ციკლის დაწყებამდე საქართველოს ძლიერი გუნდი ეყოლება. ამიტომაც განსაკუთრებული ინტერესით ველი პირველსავე ოფიციალურ მატჩს...

მოულოდნელად ზურაბ ხიზანიშვილს კლაუს ტოპმიოლერი მიუახლოვდა და ქოლგა მიაწოდა, ქუჩაში გამოგადგებაო. მწვრთნელმა სხვა ფეხბურთელებსაც ჩამოუარა და ქოლგები ჩამოურიგა...

— **ახლაც გამოჩნდა, რომ ტოპმიოლერი ძალიან ყურადღებიანია** — გავაგრძელე საუბარი.

— კი, ასეა. უყურადღებოდ არც ერთი დეტალი არ რჩება...

ეს იყო და, ტოპმიოლერი ისევ ხიზანიშვილს მოუბრუნდა, ეგ ქოლგა, რომელიც შენ გაქვს, გერმანულია, აი, შენ ინგლისური, გერმანული კი დამითმეო — თვალი ჩაუკრა მწვრთნელმა ფეხბურთელს და ქოლგებიც გაცვალეს.

— **თეორიულ მეცადინეობაზე მწვრთნელი აქცენტს რაზე აკეთებს?**

— ტაქტიკაზე, სულ ამაზე ლაპარაკობს და თითოეულ ფეხბურთელს დაწვრილებით უხსნის, როგორ უნდა იმოძრაოს. ახალი ზელანდიის მატჩის ფირიც რამდენჯერმე დაგვიტრიალა და ყველანაირ რისკს არასწორად მიიჩნევს.

— **ადრე სხვანაირად იყო?**

— არა. არც ჟირეხი იყო ხელოვნური თამაშგარეს შექმნის მომხრე და, საერთოდ, არ მახსოვს, ნაკრებში თამაშგარეს ხელოვნურად გაკეთება რომელიმე მწვრთნელს დაევალებინოს.

— **„ბლექბერნში“ როგორაა?**

— თამაშგარეების შექმნაზე არც „ბლექბერნი“ თამაშობს, თუმცა ინგლისში „ჩელსი“ და „ლივერპული“ თამაშგარეების დამუშავებაზე კვირაში ერთხელ სპეციალურად ვარჯიშობენ.

...კლაუს ტოპმიოლერმა გუშინ შეგირდები სავარჯიშოდ ქალაქის გარეუბანში, „ჰასენ შტაუდერზე“ 11 საათზე წაიყვანა. როგორც უკვე ბევრჯერ ვთქვით, ტოპმიოლერს დღესდღეობით ფეხბურთელთა ტაქტიკური გასწავლა აწუხებს და მისი ვარჯიშებიც სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს.

ასე იყო გუშინაც. ტოპმიოლერმა ორკარას თამაში რამდენჯერმე შეწყვიტა და ფეხბურთელებს გარკვეული შენიშვნები მისცა. ამ თამაშისას მწვრთნელმა ერთ გუნდს კობა ჟორჟიკაშვილი, გრიგოლ ცაავა და ვილაც უცნობი ადგილობრივი ბიჭი დაახმარა. მეორე მხარეს კი ესენი იყვნენ: *რევიშვილი; სალუქვაძე, ხიზანიშვილი, კალაძე, კანდელაკი; მენთეშაშვილი, კანკავა; ასათიანი; ალადაშვილი, არველაძე, მარცვალაძე.* უნდა ვივარაუდოთ, რომ პარაგვაისთან კლაუს ტოპმიოლერი მატჩს ალბათ სწორედ ამ შემადგენლობით დაიწყებს.

*კლაუს ტოპმიოლერმა* საღამოს გუნდი მეზობელ ქალაქ ბრეგენცში წაიყვანა ექსკურსიაზე. ჩვენ კი ეს გვითხრა:

— ახალ ზელანდიასთან მატჩის ფირი კიდევ ერთხელ ვაჩვენე ბიჭებს და გარკვეული შენიშვნებიც მივეცი. მიხარია, რომ ისინი ნელ-ნელა ხვდებიან, რას ვითხოვ და რაზე ვაკეთებ აქცენტს. პარაგვაისთან თამაშის შედეგი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუმცა უფრო თამაშის ხარისხი და ჩემი ტაქტიკის შესრულების ნახვა მინდა. ჩვენი ვალია საქართველო, მისი პრეზიდენტი და ქომაგობა გავახაროთ. იმედი მაქვს, მალე ყველაფერი ისე იქნება, როგორც გვეკადრება...

საქართველოს ნაკრების ბანაკში სხვა ახალი ჯერჯერობით არაფერია. სხვათა შორის, გუშინ სასტუმროში 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცი ჰერბერტ ცანკერი და 19-წლამდელთა მწვრთნელი ჰაინც ტოპმიოლერი განმარტოვდნენ და ბარე ორი საათი ისაუბრეს, თან რალაც ტაქტიკურ მონახაზებს არჩევდნენ, მალე ხომ ევროშესარჩევს 17-წლამდელებიც დაიწყებენ.

და კიდევ, ამინდი: გუშინ დორნბირნში, რომელიც ალპების მთებითა შემოსაზღვრული, ტემპერატურა ოდენ 5 გრადუსი იყო და, როგორც აქაურებმა თქვეს, აქა-იქ წამოთოვა კიდეც, მთელი დღე კი სეტყვანარევი თავსხმა იყო. ჰოდა, ასეთი ამინდის შემხედვარე ქართველმა ფეხბურთელებმა ერთი-ორჯერ იხუმრეს კიდეც, პარაგვაელებისთვის ხომ არ გვეთხოვა და, აგვისტოში გვეთამაშაო. მოკლედ, დორნბირნში, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი ცუდი ამინდია და წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, 30-გრადუსიანი თბილისური ხვატის შემდეგ პირდაპირ ზამთარში მოვხვდით...

ამასობაში კი დორნბირნის სტადიონის შესავლელთან უკვე დგას გერმანული ტელეკომპანია TVN-ის მოძრავი სატელევიზიო სადგურები. გუშინ სპეციალისტებმა ტელეკამერები დაამონტაჟეს და კაბელები გამართეს. როგორც ამ ტელეკომპანიის თანამშრომელმა გვითხრა, პარაგვაი — საქართველოს 16 კამერა გადაიღებს. მატჩი ადგილობრივი დროით შვიდის ნახევარზე იწყება, ბილეთები კი 10-დან 36 ევრომდე ღირს; ვიპლოჟისა კი 100 ევრო. ამ შეხვედრის ორგანიზატორი ავსტრიის საფეხბურთო კავშირია, ხოლო პარაგვაელებს დორნბირნში თავიანთი „დესანტიც“ ჰყავთ დატოვებული და ქალაქის ყველაზე დიდ სუპერმარკეტში სპეციალურად ამ მატჩისთვის, რამდენიმე ადგილას სანაკრებო ატრიბუტიკითაც ვაჭრობენ.

ცნობისთვის: პარაგვაის ნაკრების თეთრ-წითელი მაისურა ამ დახლებზე 45 ევრო ღირს და, როგორც გამყიდველმა გოგონამ გვითხრა, კლიენტი არ აკლია.

*ავტორის ფოტოები*






### ამხანაგური მატჩები

ჩეხეთი 1:0 კოსტა რიკა
ლიბია 1:2 ურუგვაი
პოლონეთი 1:2 კოლუმბია
გერმანია 2:2 იაპონია

ტუნისი 3:0 ბელარუსი
ჩილე 1:1 კოტ დივუარი
არგენტინა 2:0 ანგოლა
ინგლისი 3:1 უნგრეთი

geo_geo_fan@hotmail.com

# აღარ გვრცხვენია!

## ქომაგებმა ახალ ზელანდიას მოგება გაუხუნეს

ასეთი რამ აქამდე არასდროს მომხდარა — საქართველოს ნაკრებს ტრადიციულ მარცხზე ჩვენი რუბრიკის სტუმრებს არატრადიციული რეაქცია აქვთ, ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს არ ლანძღავენ!

ამის მიზეზის პოვნა ძნელი არ არის. საქართველოს ნაკრები ისევ დამარცხდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, სირცხვილი არ უჭამია. ეს კი პროგრესია.

როგორც ამბობენო, ვთქვით და, გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტოპმიოლერის გაწვრთნილი ნაკრების არც ერთი თამაში ჯერჯერობით არ გვინახავს.

რაც შეეხება ახალ ზელანდიასთან მატჩს, მის თაობაზე აქამდე მხოლოდ ჩვენი კორესპონდენტის, კობა ინასარიძის მონათხრობიდან გვქონდა შექმნილი წარმოდგენა.

ამ მატჩზე ალტენკირხენში რუბრიკის ერთ-ერთი სტუმრის ბიძაშვილიც ყოფილა და მასაც კობა ინასარიძის მსგავსი შთაბეჭდილება დარჩენია...

**KOKO**: „სარბიელს" დიდი მოკითხვა. ძალიან მიხარია, ეს რუბრიკა ისევ რომ ამოქმედდა...

არ დაგავიწყდეთ, ეს მხოლოდ პირველი თამაში იყო, ტოპმიოლერისთვის. კარგია, რომ უკვე რაღაც პროგრესი შეინიშნება. ამას არაფერი სჯობს. ჩვენი უბედურებაც ის იყო, რომ ადრე პროგრესის კი არა, გულისრევის შეგრძნება უფრო მქონდა. მე მჯერა ტოპის, მჯერა, რომ მის ხელში საქართველოს ნაკრები გუნდს დაემსგავსება და არა იმ ბანდას, აქამდე რომ იყო.

ჩემი ბიძაშვილი ალტენკირხენში თამაშს დაესწრო და რომ დამირეკა, ჭკუაზე არ იყო, ესაა საქართველოს ნაკრებიო? ძალიან მოეწონა, თუმცა ბოლოს მაინც მწარედ გამეხუმრა — თეთრ მაისურში საქართველოს ნაკრები რომ იყო, ბოლოს მაინც მივხვდიო. როგორ-მეთქი და, მიპასუხა: წააგოო.

ცოტაც და, აღარ წავაგებთ! მე ამის მჯერა!

**KAKICH**: სალამი „სარბიელს", მოხარული ვარ, რომ რუბრიკა ამოქმედდა და იმედი მაქვს, ეს რუბრიკა მსოფლიოს ჩემპიონატის დროსაც „მუშა მდგომარეობაში" იქნება და ახლა, რაც შეეხება დღევანდელ თემას: პირველად მიწევს წერა კლაუს ტოპმიოლერის მიერ გაწვრთნილ ნაკრებზე და, ცოტა არ იყოს, რთულია, რადგან არც ერთი თამაში არ მინახავს. მაგრამ ჩემს რამდენიმე შეხედულებას მაინც მოგახსენებთ — თავიდან მეკარეებს შევეხები. მოკლედ, არამართებულად მეჩვენა გიორგი ლომაიას და ნუკრი რევიშვილის ნაკრებში მიწვევა. ლომაიას ბოლოხანს მუდმივად აწუხებს სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა, რევიშვილზეც შეიძლება იგივეს თქმა, მან ძნელი მატჩები ჩაატარა 19-წლიანებში და მგონი, მისი დასვენება კარგი იქნებოდა. და საერთოდ, მისგან ბევრს მოითხოვენ, რაც ნაადრევია. მოკლედ, ჩემი აზრია, რომ ნაკრებს დღეს არ ჰყავს პირველი ნომერი გოლკიპერი და ეს პირველი ნომერი ისეთი უნდა იყოს, რომელიც სისტემატიურად თამაშობს თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში და ასეთებად დღეს ზურაბ ქვაჩახია და გრიგოლ ჭანტურია მიმაჩნია, რომლებმაც თასის ფინალი საკმაოდ კარგ დონეზე ჩაატარეს. რაც შეეხება დანარჩენ პოზიციებს, მგონი, იქ, ასე თუ ისე, შეიძლება კონტინგენტის გაზრდა. ბატონ კლაუსს არ უნდა გამორჩნენ აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველები და კიდევ ერთი — შოთა არველაძემ დაამტკიცა, რომ ის არის ნაკრებში თამაშის ღირსი და არ მესმის იმ ხალხის, ვინც შოთას აკრიტიკებს. შოთას ჩაგდებული სეზონი, თუ ტრავმამ არ შეუშალა ხელი, მე არ მახსოვს! შოთა 33 წლის ასაკშიც, როდესაც ფეხბურთელების უმეტესობა ამთავრებს კარიერას, არ კარგავს ძირითადში ადგილს, ითვლება ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გოლეადორად და დღეს ის უნდა იყოს ნაკრების ნომერ პირველი თავდამსხმელი, რაც, მგონი, ტოპმიოლერმაც იცის და სწორედ მასზე უნდაააწყოს თავდასხმის თამაში.

კიდევ ერთს დავამატებ, თემას გადავუხვევ და ვიტყვი: ძალიან მიხარია, რომ ეროვნულ სტადიონზე 24-საათიანი მიდის მუშაობა და 2 სექტემბრისთვის გვექნება გარემონტებული „ეროვნული"!!!

*შესავალში ნათქვამს გავიმეორებთ: ჩვენ ტოპმიოლერის გაწვრთნილი ნაკრების თამაში არ გვინახავს და ამდენად, მსჯელობა, ცოტა არ იყოს, ძნელია. აი, დღეს, ნაკრების თამაშს პირველად რომ ვნახავთ, იმედი გვაქვს, ჩვენს რუბრიკაში აზრის გამოთქმის მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.*

*„ეროვნულის" რეკონსტრუქცია კი, რა თქმა უნდა, ყველას გვახარებს.*

**WEB-ოსტატი ბუარა**

დავით სირაძე ერცგებირგეს აუე-ში ზამთარში მივიდა და ან დასრულებული მეორე ბუნდესლიგის მეორე წრეში ოთხი გოლი გაიტანა. ეს სირაძისთვის მესამე მეორებუნდესლიგური სეზონი იყო, მანამდე მას ბერლინის „უნიონში" და ტრირის „აინტრახტში" უთამაშია. აუე-ში 24 წლის სირაძეს თავიდან გაუჭირდა ფეხის მოკიდება, მერე კარგად ათამაშდა, შემდეგ საზარდულის ტრავმის გამო ერთი თვე გაუცდა და სეზონის ბოლოსღა გამოჯანმრთელდა, თუმც კლაუს ტოპმიოლერმა სირაძე მაინც არ მიიწვია ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან ამხანაგური მატჩებისთვის. სირაძესთან ინტერვიუც აქედან დავიწყეთ




# გერმანულ რადიოში სირაძემ ქართულად ილაპარაკა

## რატომ ამოიღო გერმანულმა ტოტალიზატორმა საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ორი ტური?

— ბოლო ტურში უკვე სამატჩო განაცხადში შემიყვანეს, სრულიად ჯანმრთელი ვიყავი. სეზონი რომ მორჩა, სამი ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ ქვედალიგელებთან და თითოეულ შეხვედრაში ორ-ორი გოლი გავიტანე. მოკლედ, ნაკრებში გამოძახებას ველოდი, მაგრამ არც გამომიძახეს და არც არავინ შემხმიანებია.

**— ნაკრების მწვრთნელები შენით სერიოზულად მაშინ დაინტერესდნენ, როცა როსტოკის „ჰანზას" 2:1 მოუგეთ და ორივე გოლი შენ გაიტანე...**

— „ჰანზასთან" მატჩს დედაჩემი დაესწრო და ორი გოლი გავიტანე. მომდევნო შეხვედრას „ფიურტთან" კლაუს ტოპმიოლერი დაესწრო და კვლავ დუბლი შევასრულე, შემდეგ ტურში „დრეზდენს" ვეთამაშებოდით და გუნდში მეუბნებოდნენ, ახლა ჰეთ თრიქის ჯერიაო, მაგრამ ველარ შევაგდე — „დრეზდენთან" მატჩს არც ჩემი ახლობლები ესწრებოდნენ და არც ნაკრების მწვრთნელები. რალფ მინგემ „ფიურტთან" თამაშის შემდეგ დამირეკა და შემხვდა. ცხადია, ნაკრებზე მესაუბრა, მაგრამ უფრო კლუბზე — ახლა დიდი შანსი გაქვს უკეთეს გუნდში გადასასვლელადო.

**— „ჰანზასთან" მატჩამდე კლაუს ტოპმიოლერი აუე-ს მწვრთნელ გერდ შედლიხს ესაუბრა და მერე თქვა, შედლიხმა მითხრა, სირაძე გუნდში ჯერ კარგად ვერ აითქვიფაო...**

— ახალ გუნდში რომ მივედი, თავიდან მართლაც მორიდებული ვიყავი, გერმანულიც სრულყოფილად არ ვიცოდი და ესეც რომ არა, ახალ გუნდში ადაპტირებისთვის დროა საჭირო. მწვრთნელი კი სულ მეუბნებოდა, მორიდებული ნუ ხარ, უფრო გახსნილი უნდა იყოო. მერე და მერე ასეც მოხდა, აუე-ში ახლა არანაირი პრობლემა არ მაქვს. აუე მეტწილად გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, შეკრული კოლექტივი, სადაც ყველა გვერდში დაგიდგება. შედლიხი კი ტიპურად გერმანელი მწვრთნელია, პედანტური.

**— შედლიხს ალბათ ექსპერიმენტებიც არ უყვარს — ნახევარდაცვაში არ გამოგცადა, მხოლოდ თავდასხმაში გათამაშებდა, აუე-ში კი ცენტრფორვარდი გამოცდილი პოლონელი ანჯეი იუსკოვიაკია და ასეთი სახელიანი ფეხბურთელის ძირითადადიდან ამოგდება ალბათ ძალიან ძნელია...**

— იუსკოვიაკმა აუე-სთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი, მაგრამ, როგორც გავიგე, მას სულ ძირითადში თამაშის პრეტენზია აღარ ექნება. ჩვენ სამი ფორვარდით ვთამაშობთ — ერთი ცენტრალური თავდამსხმელი, რომელსაც ფლანგებიდან ოდნავ უკანდაწეული გარემარბები ეხმარებიან — ასეთ განლაგებაში შედლიხმა ერთი-ორჯერ მარჯვენა გარემარბად მათამაშა, მაგრამ მერე გადაწყვიტა, მხოლოდ ცენტრფორვარდად გამაჩესოს, რადგან ამ პოზიციაზე უფრო კარგად წამივიდა თამაში. ერთი სიტყვით, მომავალი სეზონი ჩემთვის მართლაც დიდი შანსია — კარგად უნდა ავთამაშდე, რათა უკეთეს გუნდში გადავიდე. ჩემი აგენტი უდო შრიოდერი საკმაოდ სერიოზული კაცია და თუ აუე-ში ყველაფერი კარგად ამეწყო, უკეთეს გუნდს ნაღდად გამომიძებნის.

**— აუე-ს საუკეთესო ფეხბურთელად ვინ ითვლება?**

— გულშემატკივართა გამოკითხვით აუე-ში გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად მეკარე თომას ბობელი დასახელდა, ხოლო სეზონის საუკეთესო გოლად „ჰანზას" კარში პირველი ბურთი რომ შევაგდე, ის აღიარეს.

**— გერმანიაში რას ამბობენ თავიანთი ნაკრების სამუნდიალო შანსებზე?**

— ერთ-ერთმა გერმანულმა რადიოარხმა აუე-ს ლეგიონერები მიგვიწვია სტუდიაში, რათა მსოფლიო ჩემპიონატისთვის და მათი ნაკრებისთვის რეკლამა გაგვეკეთებინა. ჩვენ გერმანული ტექსტი მოგვცეს და გვთხოვეს, რაც მანდ წერია, ის მშობლიურ ენაზე წარმოთქვითო. მეც ქართულად ვილაპარაკე მსოფლიოს ჩემპიონატზე და ბუნდესნაკრებს წარმატება ვუსურვე. მერე მკითხეს, ჩემპიონი ვინ გახდებაო და გერმანულად ვუპასუხე, რომ გერმანიას ვგულშემატკივრობ, რადგან ვიცი მისი შესაძლებლობები — ეს უკვე დაწერილი ტექსტი აღარ იყო, მართლაც გერმანიას ვქომაგობ, ახალგაზრდული გუნდი ჰყავს და ცუდად არ უნდა გამოვიდეს ჩემპიონატზე.

**— გერმანიის ნაკრების მწვრთნელ იურგენ კლინსმანზე რას ამბობენ, სჯერათ მისი?**

— კლინსმანზე, როგორც მწვრთნელზე, გადაჭრით ჯერ ვერაფერს ამბობენ, გერმანელი ხალხი იმის მოლოდინშია, ნახონ, როგორი მწვრთნელია კლინსმანი.

**— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე თუ იციან რამე გერმანიაში?**

— ერთ-ერთ გერმანულ საბუქმეიკერო ფირმას ნუსხაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიც აქვს, მაგრამ ბოლო ორი ტური ნუსხიდან ამოიღო... ისე, მთავარი მაინც გულშემატკივრის ფაქტორია. აუე-ს საშინაო მატჩებზე სტადიონი სულ ივსება და 20 000 მაყურებელი მოდის, ეს ყველაზე დიდი სტიმულია ფეხბურთელისთვის, საქართველოში კი...

**დავით თავართქილაძე**

# დასავლეთ-აღმოსავლეთი ქართლზე შეიყრება

**2006-07 წლების** სეზონში პირველ ლიგაში გადასასვლელი ერთი გუნდიღა დარჩა და ეს 3 ივნისს გორში გაირკვევა: „ქართლზე" ერთმანეთის პირისპირ რეგიონული ლიგის პლეი ოფში გამარჯვებულები, თბილისის ომც და ქობულეთის „შუქურა" წარსდგებიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტმა უკვე დაასახელა ამ მატჩზე მომსახურე მსაჯთა ვინაობა: ლ. კვარაცხელია; ზ. ფიფია, ლ. თოდრია; ხ. განიძე.

**კახა შალამბერიძე**



მიხეილ აშვეთია

# ტრანსფერი: შეტევიდან რაციონალიზმში

## გრიგოლ დოლიძეს გრიგოლ ჭანტურიამ არ დააცადა



23 წლის გრიგოლ დოლიძე საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესო მარჯვენა ნახევარმცველად ნაღდად ითვლება. „ამერმა" ის ზამთარში „სიონიდან" შეიძინა დავით ბოლქვაძესთან და თენგიზ ჩიკვილაძესთან ერთად. მართალია, დოლიძე უტიტულოდ არ დარჩა და საქართველოს თასი მოიგო, მაგრამ აშკარაა, მან „ამერში" ისე ლაღად ვერ ითამაშა, როგორც „სიონში". დოლიძე საამისო მიზეზსაც გვიხსნის, ხოლო საუბარს 13 მაისს „ზესტაფონთან" მოგებული თამაშით ვიწყებთ...

— თამაშამდე ეკლესიაში ვიყავით, ლოცვა-კურთხევა მივიღეთ და ასე ვიტყოდი, ჩვენს მოგებაში ღვთის ხელი ერია.

**— უშუალოდ მინდორზე რა იყო მთავარი, რამაც „ამერს" მოაგებინა?**

— სასწაული მონდომება. ალბათ, ჩვენ „ზესტაფონზე" მეტად გვინდოდა გამარჯვება. ვფიქრობ, მატჩამდე ზესტაფონელებს უპირობო ფავორიტებად ამაოდ თვლიდნენ, მინდორზეც გამოჩნდა, რომ დაახლოებით თანაბარი დონის გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

**— შალვა ლონლაძემ რომ ძირითადი დროის ბოლო წამებზე გაგითანაბრათ, რა იფიქრე?**

— მტკივნეული მომენტი იყო და ამ დროს გაანალიზება ძნელია. პირადად მე ერთი წამითაც არ მიფიქრია, მორჩა, წავაგეთო... მობილიზება შევძელით, დამატებით დროში ნორმალურად ვითამაშეთ და პენალტებში გაგვიმართლა.

**— მეორე წრეში ერთი პენალტი გააცუდე „ცხინვალთან". ამიტომაც არ მიხვედი „ზესტაფონთან" თერთმეტრიანის ნიშნულთან?**

— მეექვსე მე ვურტყამდი, ანუ გრიგოლ ჭანტურიას რომ გაეტანა, პენალტების სერია გრძელდებოდა და ჩემი ჯერი იქნებოდა. საბედნიეროდ, იქამდე არ მივიდა საქმე.

**— „ამერის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლები, თუმცა გიორგი ჩიხრაძემ ფინალში შეცვლაზე შეგიყვანა...**

— ეს მწვრთნელის ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო.

**— გრიგოლ დოლიძე „სიონში" უფრო კარგად თამაშობდა და გუნდის ლიდერიც იყო, „ამერში" კი გამორჩეული არ ყოფილა — ალბათ, ეთანხმები ამ აზრს...**

— ასეა. მიზეზი კი, ჩემი აზრით, უბრალოა: ექვსი თვეა, „ამერში" ვარ, ამ პერიოდში ზოგჯერ მსოფლიოს დონის ფეხბურთელებს უჭირთ გუნდთან შეწყობა. მომავალ სეზონში ძველებურად და უფრო ძლიერად ავთამაშდები. ამის იმედი მაქვს.

**— „სიონის" და „ამერის" თამაშის მანერაზე რას იტყვი?**

— როგორ გითხრათ, „სიონში" უფრო ბევრს ვუტევდით, ცალსახად შეტევაზე ორიენტირებული გუნდი იყო, „ამერი" კი უფრო რაციონალურად თამაშობს.

**— „სიონში" რომ დარჩენილიყავი, ჩემპიონი გახდებოდი. ხომ არ ნანობ „ამერში" გადასვლას?**

— არანაირად. სამაგიეროდ, აქ თასი მოვიგე. „ამერი" მინდორზეც და მინდორსმიღმაც კარგი გუნდია, კლუბის ხელმძღვანელობა ყველა პირობას გვიქმნის, გადაყოლილები არიან ჩვენზე.

**— გუნდში შენი ყველაზე ახლო მეგობრები ვინ არიან?**

— მინდორზე ყველა პარტნიორია, ყველა მოგებას და ერთმანეთის გატანას ვცდილობთ. მინდორს მიღმა კი, ცხადია, ყველასთან ვერ იმეგობრებ: ყველაზე ახლოს დავით ბოლქვაძესთან და თენგიზ ჩიკვილაძესთან ვარ.

**— ერთი ხანობა „ამერი" მესამე ადგილზე იყო და არცთუ ბევრით ჩამორჩებოდა ლიდერს. შენი აზრით, ჩემპიონობის შანსი გქონდათ?**

— ალბათ, კი. უბრალოდ, თასზე წარმატების შანსი ძალიან გამოიკვეთა და აქეთკენ გადავერთეთ, თორემ ამდენ უაზრო ქულას არ დავკარგავდით. თუნდაც „ცხინვალთან" წაგებულ თამაშზე ვიტყვი — ყველანაირი ლოგიკით უნდა მოგვეგო.

**— ახლა უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე გახვალთ. მართალია, კენჭისყრა ჯერ არ ყოფილა, მაგრამ რას ელი ევროტურნირებისგან?**

— ერთი ეტაპის გავლა „ამერმა" აუცილებლად უნდა შეძლოს, ორი ეტაპის გავლა უკვე მაგარი შედეგი იქნება, მაქსიმუმი კი უეფას თასის ჯგუფში მოხვედრა იქნება. უიმედოდ ნაღდად არ ვართ. ერთი სული მაქვს, ევროთასზე როდის ვითამაშებთ.

**ილია ნანობაშვილი**

# რუბინს ქართული ტრავმები მოუშუშდა

**ყაზანის** „რუბინის" ტრავმირებული ქართველები, გიორგი ქინქლაძე და მიხეილ აშვეთია გამოჯანმრთელდნენ და უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობენ.

„რუბინმა" სამიოდ დღის წინ დაასრულა მოკლევადიანი შვებულება და მშობლიურ სტადიონზე შეიკრიბა. სხვებთან ერთად იყვნენ ქინქლაძე და აშვეთია, რომელთაც ტკივილი უკვე აღარ აწუხებთ და ალბათ ჩემპიონატის განახლებისთანავე გამოჩნდებიან ყაზანური გუნდის შემადგენლობაში.

შეგახსენებთ, რომ ტრავმებისგან გაწამებულ ქინქლაძეს წლევანდელ პრემიერლიგაში ჯერ არ უთამაშია, აშვეთიამ კი ბოლო ოთხი ტური გამოტოვა.

„რუბინის" კიდევ ორი ქართველი, ნუკრი რევიშვილი და ლაშა სალუქვაძე კი ნაკრებს ახლავან ავსტრიულ დორნბირნში.

**ბახა შალამბერიძე**

# საქართველოს ნაკრები — ლეგიონი = ზურაბ იონანიძეს

საქართველოს მეჩვიდმეტე ჩემპიონატის დასრულებიდან უკვე საკმარისზე მეტი დრო გავიდა საიმისოდ, რომ გარკვეული შეფასებები გაგვეკეთებინა და პასუხი გაგვეცა უმთავრეს კითხვებზე: რა მისცა ქართულ ფეხბურთს ამ ჩემპიონატმა და იყო თუ არა ის ოდნავ მაინც წინგადადგმული ნაბიჯი წინამორბედთან შედარებით?

ნებისმიერი სახის შეფასება სუბიექტურობის დიდ დოზას შეიცავს და ამის თავიდან ასაცილებლად შევეცადოთ, იმ კუთხით შევაფასოთ მეჩვიდმეტე ეროვნული, საიდანაც მეტი კონკრეტული გვარი თუ ციფრი ჩანს...

დღეს ავსტრიულ დორნბირნში საქართველოს ნაკრები პარაგვაელებს ამხანაგურად გაეჯიბრება. ჰოდა, პირველ ამოსავალ წერტილად ეროვნული ნაკრები ავიღოთ. კლაუს ტოპმიოლერის რჩეული 25 ფეხბურთელიდან საქართველოს ჩემპიონატის ერთადერთი წარმომადგენელი ვეტერანი ზურაბ იონანიძეა. კლაუს ტოპმიოლერს და მის გუნდს ნამდვილად ვერ დავწამებთ, ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობებზე არანაირი წარმოდგენა არ გააჩნიათო და ვერც მათ ობიექტურობაში შევიტანთ ეჭვს. მაშ, რა გამოდის? ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობას ვინ ჩივის, 25-კაციან სიაში საქართველოს ჩემპიონატის სამი საუკეთესოც ვერ ხვდება. ამდენად ძლიერი ლეგიონი გვყავს?

შარშან შემოდგომით, როცა საქართველოს ნაკრებში გაახალგაზრდავების ქარიშხალი ამოვარდა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, ნაკრების სათადარიგოთა სკამზე ლეგიონერი არ უნდა იჯდეს — მხოლოდ იმათ ვუხმობთ, ვინც ძირითადში თამაშის ღირსია, თადარიგში კი ეროვნული ჩემპიონატის მოთამაშეები უნდა გვყავდნენო. ამ მოსაზრებამ მაშინ კამათი გამოიწვია — ნაკრები რაიმე სახის კვოტებით კი არა, კონკრეტულ მომენტში საუკეთესო ფეხბურთელებით უნდა დავაკომპლექტოთო. შეგვიძლია დავასკვნათ: საქართველოს აქვს ჩემპიონატი, რომელიც ახალ ზელანდიასთან 1:3 წამგებ გუნდს ორ სათადარიგო ფეხბურთელსაც ვერ აწვდის.

შეფასების კიდევ ერთი კრიტერიუმი უცხოურ კლუბებში გადასულ ჩვენებურ ფეხბურთელთა რაოდენობა შეიძლება იყოს. ასეთი ათამდეა, თუმცა ალეკო ამისულაშვილი ან გიორგი შაშიაშვილი მეჩვიდმეტე ეროვნულში წარმოჩინდნენო, ვერავინ იტყვის. ისინი უკვე სარგებლობდნენ ლეგიონერის სტატუსით და საქართველოში, ასე ვთქვათ, ფორმის შესანარჩუნებლად შემოიარეს. ლევან მელქაძემ, ნუკრი რევიშვილმა, ოთარ მარცვალაძემ, კახა ალადაშვილმა, ილია კანდელაკმა სხვადასხვა ოდენობის მატჩები გამართეს გასულ ეროვნულ ჩემპიონატში და მერე უცხოეთის გზას დაადგნენ. ახლა ისიც ვთქვათ, აქ ჩამოთვლილთაგან რამდენმა მოახერხა ახალი გუნდის ძირითადში ადგილის დაჯავშნა — მხოლოდ ილია კანდელაკმა, რომელმაც ოდესის „ჩერნომორეცთან" ერთად უკრაინული ბრინჯაო მოიგო. აქედან მეორე დასკვნა: საქართველოს დღევანდელ ჩემპიონატს შეუძლია, ფეხბურთელი უკრაინის მესამედგილოსანი გუნდის დონემდე აღზარდოს. არ არის ლოგიკური?

რა მისცა ქართულ კლუბებს გასულმა ჩემპიონატმა? თუ ზემოთ ნახსენები ტრანსფერებით ვიხელმძღვანელებთ, ერთადერთმა „ვიტ ჯორჯიამ" მიიღო ქართული საზომებით სოლიდური თანხა ოთარ მარცვალაძეში, დანარჩენი ჩვენებურები კი ან თავისუფალი აგენტის სტატუსით დაშორდნენ კლუბებს, ანაც სიმბოლური თანხის ფასად. ჰო, არამატერიალური „ფასეულობებიდან" კლუბებმა გამრიგებელ-გამყიდველ-დამთმობ-გამსესხებლის იარლიყიც მიიღეს, რაც აქტივში ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

რა მიიღო მეჩვიდმეტე ეროვნულიდან ფეხბურთის ქომაგმა? ალია-ბალია, ერთი დუჟინი მართლაც კარგი მატჩი, რამდენჯერმე მეტი ფეხბურთის სუროგატი და საშუალოდ ტურში თითო უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი. ეს იყო და ეს. მეტისმეტად მუქი ფერებია? დაველოდოთ და ყველაფერს ნათელს ევროტურნირებზე ჩვენი კლუბების გამოსვლა მოჰფენს — ესეც ჩვენი ჩემპიონატის შეფასების კიდევ ერთი და შესაძლოა, ყველაზე ობიექტური კრიტერიუმი.

ერთი მცირე საგაზეთო წერილი ვერანაირად იკმარებს ცხრა თვეზე გათვლილი ჩემპიონატის შესაფასებლად და უპრიანი იქნება, ამ თემას ერთგვარი წერილების ციკლი მივუძღვნათ. პირველ ჯერზე კი თუნდაც მხაჯობით დავიწყოთ...

**გიორგი ნოზაძე**

# ყავაში ჩაყრილი ხუმრობა

## ხალხს არ სჯერა იმის, რისაც სჯერა ანრის



დომენეკის რეიტინგი დაეცა

**საფრანგეთის** ნაკრებმა დანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში თავის უკვე კარგა აბუზღუნებულ ქომაგებს რაიმე გამორჩეული უნდა აჩვენოს, თორემ „სტად დე ფრანსზე“ მექსიკასთან მოგებულმა 1:0-მა მხოლოდ სტვენისთვის ივარგა.

ქომაგების გაღიზიანება კი გრეგორი კუპეს ცნობილი ინციდენტიდან დაიწყო. მოგეხსენებათ, ფაბიენ ბარტეზის შემცვლელობით ანუ მეორე მეკარეობით გაღიზიანებულმა კუპემ რამდენიმე დღის წინ მწვრთნელთან, რაიმონ დომენეკთან იჩხუბა — ცხადია მუშტიკრივი არ იგულისხმება — ნაკრების ბანაკიდან გავარდა, მაგრამ მალევე დაბრუნდა. ამას მოჰყვა მეორე ამბავი, რომლის შესახებაც „სარბიელის“ მკითხველს ასევე კარგად მოეხსენება: TF1-ის ჟურნალისტებმა აჩვენეს კადრები, სადაც რამდენიმე ფრანგმა ფეხბურთელმა ქომაგების მისამართით გულგრილობა გამოიჩინა და დასძინეს, მოთამაშეები დომენეკს ასე ჰყავს დარიგებულიო. ამაზე მწვრთნელმა, რომელსაც ჟურნალისტებთან კარგი ურთიერთობის ნიჭი ეტყობა თავიდანვე არ ჰქონდა დაყოლილი, ცოფიანი პრესკონფერენცია მოაწყო, ყველაფერმა ერთად კი ხალხს შთაბეჭდილება შეუქმნა, რომ ნაკრებში საქმე არეულია.

თუმცა, ლიონში სამატჩოდ ჩასულმა ფრანგმა ფეხბურთელმა, კერძოდ კი ტიერი ანრიმ სხვანაირად თქვა:

„რაც ხდება ჩვეულებრივი ცხოვრებაა და მეტი არაფერი. მე შემიძლია დაგამშვიდოთ, რომ ლურჯებში, უფროს და პატარა ბიჭებს შორის ურთიერთობა ძალიან კარგია. ჩვენ ყავას ერთად ვსვამთ და ძალიან ბევრს ვხუმრობთ. მერწმუნეთ, ნაკრებში ცხოვრება სასიამოვნოა“.

შემდეგ კი 28 წლის ვარსკვლავმა, რომელმაც ამას წინათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა, იმედით განაცხადა, რომ საფრანგეთის ნაკრებში ფიზიკური მომზადება მოსაწონია.

„ძალიან სასიამოვნო იყო, ნაკრებში მოსულს ტრავმირებული რომ არავინ დაგვხვდა. მექსიკასთან, ბუნებრივია, საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენეთ, მაგრამ არის ხოლმე მატჩები, რომელშიც გუნდი ცუდად თამაშობს“.

ამის შემდეგ ანრიმ მექსიკასთან შეხვედრისას ფრანგი ქომაგის ქცევაზეც გაამახვილა ყურადღება და თქვა, რომ მის თანამემამულეებს ამ საქმეში ინგლისელებისგან ბევრი აქვთ სასწავლი:

„ინგლისში ისეთი რამ, რაც შაბათს „სტად დე ფრანსზე“ მოხდა, არასოდეს მოხდება. როგორც კი „არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგო, მე ფანებთან მივედი და ტაში დავუკარი. მათაც ამითვე მიპასუხეს. ისინი შინ გაბრაზებულები და გულდაწყვეტილები დაბრუნდნენ, მაგრამ საყვედური ერთხელაც არ წამოცდენიათ“.

ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ ანრიმ ლონდონელებთან ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ ახლა საკლუბო საქმეებზე ნუღარ შევჩერდებით და ისევ ნაკრების თემას დავუბრუნდეთ, მით უფრო, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავთაგანი ლურჯების ცხოვრებაში ბევრ დადებითს ხედავს. მისთვის სასიამოვნო შთაბეჭდილებათაგან ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი, მაგალითად, ახალგაზრდა ფრანკ რიბერის გამოჩენაა.

„მას რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სულ მცირე 20 წელიწადია გუნდშია — თქვა ანრიმ — მეც სულ იმას ვცდილობ, რომ მან თავი მშობლიურ გარემოში იგრძნოს. მახსოვს, თავად რომ გახლდით ნაკრების დებიუტანტი, უფროსებს პირდაღებული ვუცქერდი, მათგან რჩევა-დარიგება მჭირდებოდა და ვცდილობ ეს არ მოვაკლო ახალ თაობას, განსაკუთრებით კი რიბერის“.

თუმცა, ანრის სიტყვების პარალელურად ჟურნალისტებმა ქომაგებში გამოკითხვა ჩაატარეს და გაირკვა, რომ მათ 50 პროცენტს ლურჯების მაქსიმუმად ნახევარფინალში გასვლა ესახებათ. და გამარჯვება? ამაზე მხოლოდ 15 პროცენტი ოცნებობს.

არც თავად დომენეკს აქვს დიდი რეიტინგი თანამემამულეთა შორის: 68 პროცენტს მისი იმედი არ აქვს, 19-ს კი პირიქით, დომენეკისა ეიმედება. ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ რამდენადაა დამოკიდებული ფრანგთა თამაში ზინედინ ზიდანზე, აქ ხალხის აზრი გაიყო: 45 პროცენტს ყველაფრის გადამწყვეტი მხოლოდ ზიდანი ჰგონია, 48-ს არა.

**პაპუნა ძედია**

# იტალიას ბარძაყი და სკანდალი სტკივა

**დღეს** შვეიცარიის ნაკრებთან შეხვედრაში გამოჩნდება, როგორ იმოქმედა იტალიურმა საფეხბურთო სკანდალმა „სკუადრა აძურასა“ და მის ფეხბურთელებზე. თეორიულად, რასაკვირველია, იტალია შვეიცარიაზე ძლიერი გუნდია და მიუხედავად იმისა, რომ გუნდები ერთმანეთს ჟენევაში ესპარინგებიან, იტალიამ წესით არ უნდა წააგოს, მაგრამ „იუვენტუსის“, „ფიორენტინას“, „ლაციოსა“ და მარჩელო ლიპის პრობლემები, ეჭვია, რომ თავს ვერ დამალავდა.

„ჩვენ ძალიან გვინდა ჩემპიონატი მალე დაიწყოს და წარმატებას მივაღწიოთ“ — ამბობს „მილანის“ თავდამსხმელი ფილიპო ინძაგი, რომელიც ტრავმების გამო ორი წელიწადი არ ყოფილა გუნდში და ახლაც გრძნობს, რომ ასე დიდხანს გაჩერება არ შეიძლება. ყოველი მომდევნო დღე „სკუადრა აძურას“ საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი, მაგალითად, გასულ კვირაში შუა ვარჯიშიდან გაიხმეს გამომძიებლებმა და ტოტალიზატორების სიყვარულის ამბავი გამოჰკითხეს. „იუვენტუსის“ გოლკიპერმა უპასუხა, რომ მას წესი არ დაურღვევია ანუ, მას მერე, რაც ფეხბურთელებს ნიძლავებში მონაწილეობა აუკრძალეს, ფსონს აღარ ჩასულა.

საკუთრივ ლიპის, მოგეხსენებათ, ვაჟს, დავიდეს უჭირენ. მას ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვაში ჰქონია „თავისებური“ მონაწილეობა მიღებული, თუმცა ნაკრების მწვრთნელი ამბობს, რომ მთელი ეს აურზაური მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას ვერაფერს დააკლებს.

იტალიურ პრობლემებზე თავისი შეხედულება აქვს მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტს ფრანც ბეკენბაუერს, რომელსაც ორმაგი ინტერესი აქვს — როგორც გერმანელს, ცხადია, კონკურენტის დასუსტება გაუხარდება, მაგრამ, როგორც ჩემპიონატის შეფს, შემოსავლისთვის კარგი თამაშები აძლევს ხელს.

„იტალიის ნაკრებს ყველაფრის მიუხედავად მაინც ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევენ. მართალია, არის საშიშროება, რომ ფეხბურთელებს სკანდალთან დაკავშირებულ ამბებზე საუბრით შეიძლება თავი მოაბეზრონ და ნერვები მოუშალონ, მაგრამ იმედი მაქვს ასეთი რამ არ მოხდება და სკანდალი „სკუადრა აძურაზე“ ცუდად არ იმოქმედებს“.

რაც შეეხება შვეიცარიელთა სახვალიო ამბიციას, ის 1994 წლის მუნდიალის შესარჩევ ისტორიას ეფუძნება, როდესაც შვეიცარიამ იტალიაში, კერძოდ კალიარიში 2:2 ითამაშა, ხოლო შინ, საპასუხო შეხვედრაში გაიმარჯვა 1:0. და კიდევ, ოდესღაც, უხსოვარ დროში ანუ 1954 წელს, შვეიცარიელებმა „სკუადრა აძურა“ საკუთრივ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩატოვეს ჯგუფში.

„უნდა ვეცადოთ არ წავაგოთ — წერს შვეიცარიული გაზეთი „ბლიკი“ მაგრამ, იქვე დასძენს კიდეც — თუმცა ეს თამაშის ხარისხზე იქნება დამოკიდებული“.

საეჭვოა ითამაშოს იტალიის ნაკრების მარცხენა მცველმა ჯანლუკა ძამბროტამ, რომელსაც კვირას მარჯვენა ფეხის ბარძაყი უტკენია.



ლიპის აურზაური ვერაფერს დააკლებს

**პაპუნა ძედია**

# ამხანაგური მატჩი



AFP

განელი ასამოა გიანი (მარჯვნივ)

# განაგოლები

**განა 4:1 იამაიკა**

**1:0 მუნტარი (5), 2:0 სტიუარტი (19ა.კ), 2:1 იუელი (58), 3:1 აპია (66), 4:1 ამოა (68)**

**განის** ნაკრები სამუნდიალოდ ჩინებულ განწყობას იქმნის. აფრიკელებმა ამხანაგურ მატჩში არცთუ სუსტი იამაიკა გაანადგურეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი განელთა კაპიტნის, სტეფან აპიას თამაში გახლდათ.

რატომირ დუიკოვიჩის შეგირდები მეტოქეს თავიდანვე მიაწვნენ და დაწინაურდნენ კიდეც. მე-5 წუთზე აპიასა და ასამოა გიანის აქტიურობას სულეი მუნტარის გოლი მოჰყვა. გავიდა 14 წუთი და აპიას დარტყმული რიკოშეტით აღმოჩნდა იამაიკელთა კარის ცხრიანში. შესვენებამდე განას მომენტები კიდევ ჰქონდა, მაგრამ სხვაობის გაზრდა ვეღარ შეძლო.

მეორე ტაიმი იამაიკელებმა უკეთ დაიწყეს და ჯეისონ იუელმა ერთი ბურთი გაქვითა კიდეც, მაგრამ ამან განა ისევ გამოაფხიზლა და აფრიკელებმა მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვეს. მესამე გოლი კვლავ აპიას აქტიურობამ მოიტანა, ხოლო წერტილი მეთიუ ამოამ დასვა.

სტეფან აპია: „საკუთარ ძალებში უფრო და უფრო ვრწმუნდებით. ამ შემადგენლობით შორს წასვლა შეგვიძლია, მაგრამ ახლა ჩვენი მიზანი მხოლოდ ჯგუფიდან გასვლაა, დანარჩენი კი მერე გამოჩნდება“.

„ყველა პოზიციაზე ორი ძლიერი მოთამაშე გვყავს. ახლა სათანადო შემადგენლობის შერჩევას ვცდილობ, თუმცა 80 პროცენტით უკვე ვიცი, ვის დავაყენებ ძირითადში.“ — თქვა რატომირ დუიკოვიჩმა.

**კოკი კანდელაკი**

# მელა ცხრა საათი ლაპარაკობდა




**ნეაპოლის** პროკურატურამ „ფიორენტინას“ პატრონი დიეგო დელა ვალე დაკითხა, რათა მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ საქმეში ახალი დეტალები გაეგო. თუმცა როგორი წარმატებით იმუშავეს სამართალდამცავებმა, ჯერ უცნობია. დელა ვალეს გატეხვა არცთუ მარტივი საქმეა, მას იტალიაში „მისტერ ტოდსის“ (მელა) მეტსახელით იცნობენ. დაკითხვა ცხრა საათს გაგრძელდა.

სკანდალში ამჟამად ოთხი კლუბია გარეული — „იუვენტუსი“, „მილანი“, „ლაციო“ და „ფიორენტინა“. წესით, მათ მძიმე სასჯელი ელით, გააჩნია, სადამდე მივა გამოძიება. თუმცა დელა ვალეს თქმით, ფლორენციული კლუბი იმ ბინძური სისტემის უბრალო მსხვერპლი იყო, რომელიც „კალჩოში“ წლების მანძილზე იხლართებოდა.

„დაკითხვა დიდხანს იმიტომ გაგრძელდა, რომ მინდოდა, ყველა მცირე დეტალზე მესაუბრა და რაც ვიცოდი, დაწვრილებით მომეყოლა. ამ საქმეში „ფიორენტინას“ მონაწილეობაზე ვისაუბრე და ჩვენი პოზიცია ნათლად დავაფიქსირე. იმედია, სამართალი იზეიმებს. ჩვენ არაფრის არ უნდა გვეშინოდეს. მადლობა გამომძიებლებს, რომლებიც მოთმინებით მისმენდნენ“ — უთხრა ჟურნალისტებს პროკურატურიდან გამოსულმა დელა ვალემ.

**გიორგი ძაძაბაძე**



ფრანჩესკო გვიდოლინი

# ძამპარინიმ გვიდოლინის სკამი შეუდგა

**„პალერმოს“** მწვრთნელი ისევ ფრანჩესკო გვიდოლინი იქნება. 50 წლის იტალიელმა „მონაკოში“ გატარებული რვათვიანი არცთუ წარმატებული პერიოდის შემდეგ ფრანგული კლუბი დატოვა და „რენცო ბარბერაზე“ დაბრუნდა. მან სიცილიელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

2004 წელს გვიდოლინიმ „პალერმო“ ოცდათორმეტწლიანი პაუზის შემდეგ ელიტაში დააბრუნა და 2004-05 წლების სეზონში გუნდი მე-6 ადგილზე და უეფას თასზე გაიყვანა. თუმცა სიცილიელთა ექსცენტრულმა პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ რატომღაც მისი განთავისუფლება გადაწყვიტა და გუნდში ჯუზეპე პაპადოპულო მიიყვანა, რომლის ხელშიც გუნდი მე-8 ადგილზე გავიდა. საინტერესოა ისიც, რომ რამდენიმე დღის წინ ძამპარინიმ კატეგორიულად უარყო „რენცო ბარბერაზე“ გვიდოლინის დაბრუნების ვარიანტი და პაპადოპულოსთან ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი, მაგრამ...

„გუნდში ისეთივე ენთუზიაზმით დავბრუნდი, როგორიც ერთი წლის წინ მქონდა. ძალიან მიხარია, რომ ისევ „პალერმოს“ მწვრთნელის სკამზე დავჯდები. თუმცა უფრო კონკრეტულად ახლა ვერაფერს ვიტყვი, რადგან ჯერ უფროსობას ჩვენს მიზნებზე უნდა ვესაუბრო“ — თქვა გვიდოლინიმ.

სერია A-ში გვიდოლინი „პალერმოს“ გარდა „ვიჩენცას“, „ატალანტას“, „უდიზენესა“ და „ბოლონიას“ წვრთნიდა.

**კოკი კანდელაკი**

# კრესპოს ოჯახური ტრანსფერის სჯერა

## მილანი შევჩენკოთი ჯერარდს ყიდულობს

**ერნან კრესპომ** უარყო ჭორები, თითქოს იგი უკვე „მილანის“ ფეხბურთელია და შესათანხმებლად მხოლოდ მცირე დეტალები რჩება. არგენტინელის თქმით, მას დიდი სურვილი აქვს, ასე მოხდეს, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. შეგახსენებთ, რომ კრესპოს ლონდონის „ჩელსი“ ახალ კონტრაქტს სთავაზობს, მაგრამ მას აპენინებზე დაბრუნება ან კარიერის ესპანეთში გაგრძელებს სურს.

„ჯერ კონკრეტული არაფერია. „მილანში“ დაბრუნება მინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იტალიაში მატჩების ჩაწყობასთან ატეხილი სკანდალის გამო კლუბებს ტრანსფერებისთვის ახლა ნაკლებად სცხელათ. იმედია, ახლო მომავალში ყველაფერი დალაგდება და მეც მალე გავარკვევ „ჩელსიში“ დავრჩები, თუ სხვაგან გადავალ“ — აღნიშნა „ინტერის“, „პარმასა“ და „ლაციოს“ ყოფილმა ფორვარდმა.

კრესპომ „ჩელსიში“ გადასული ანდრეი შევჩენკო გაამართლა და „მილანის“ განაწყენებულ ფანებს მოუწოდა, უკრაინელის გადაწყვეტილებას პატივი სცენ.

„მან „ჩელსიში“ გადასვლა ოჯახის საკეთილდღეოდ გადაწყვიტა. ოჯახი კი ყოველთვის პირველ ადგილზეა. მეც ამის გამო მინდა იტალიაში დაბრუნება, ანაც ესპანეთში გადასვლა, რადგან იქ გაცილებით საინტერესოა ცხოვრება, რაც ჩემი ოჯახისთვის მნიშვნელოვანია, თორემ „ჩელსიში“ ყველაფერი მაკმაყოფილებს, ბრწყინვალე გუნდია, მწვრთნელთანაც ჩინებული ურთიერთობა მაქვს და ტიტულების მოგების პერსპექტივაც დიდია. თუმცა, როდესაც საქმე ოჯახს და მის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს ეხება, ფანები ამას გაგებით უნდა მოეკიდონ“ — დასძინა არგენტინელმა.

ამბობენ, „როსონერის“ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, ანდრეი შევჩენკოში მიღებული თანხის გარკვეული ნაწილი სტივენ ჯერარდის შეძენას მოახმაროსო. მართალია, „ლივერპული“ ამტკიცებს ჩვენი კაპიტანი არ იყიდებაო, მაგრამ თუ იტალიურ ჟურნალ-გაზეთებს ვენდობით, „შავ-წითლები“ მსოფლიოს ჩემპიონატის მერე მაინც აპირებენ მოლაპარაკების დაწყებას.

დაბოლოს, გამორიცხული არ არის, „სან სირო“ კლარენს ზეედორფმა დატოვოს. გასულ სეზონში „მილანის“ ფუფობა მისი თამაშით უკმაყოფილო დარჩა. ჰოლანდიელს ლონდონის „არსენალს“ უკავშირებენ, რომელსაც რობერ პირესის „ვილიარეალში“ გადასვლის მერე ნახევარდაცვის გაძლიერება უნდა.

**გიორგი ძაძაბაძე**







# კლოზე გაფრინდა და მოფრინდა

**გერმანიის** ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა მიროსლავ კლოზემ მოულოდნელად დატოვა შეკრება და ბრემენში გაფრინდა. ამის მიზეზად „ვერდერის“ ფორვარდის პირადული პრობლემები სახელდება. მისი აგენტის თქმით, კლოზეს ოჯახის საქმეები აქვს მოსაგვარებელი. იურგენ კლინსმანის შეგირდები შვეიცარიაში, კერძოდ, ჟენევაში იმყოფებოდნენ, მაგრამ გუშინ საღამოს უკვე დიუსელდორფში იქნებოდნენ და ვარჯიშს იქ გააგრძელებდნენ.

ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირის (25 გოლი) ნაკრებში დაბრუნებას გუშინ ელოდნენ. წესით, მას იაპონიასთან ამხანაგურ მატჩშიც უნდა ეთამაშა.

„მან მართლაც დატოვა ნაკრები ორშაბათს და ბრემენში გაემგზავრა. კლოზეს ამის მიზეზი ჰქონდა და ეს საჯაროდ სასაუბრო არ არის, არც საგანგაშოა რამე. მის დაბრუნებას მალე ველით. ალბათ, დიუსელდორფში შემოგვიერთდება“ — თქვა გუშინ გერმანელთა პრესატაშემ ჰარალდ შტენგერმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პორტუგალია თერმომეტრით ემზადება

**პორტუგალიის** ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კარგად ემზადება. ერთი ეგაა, ბოლო დღეებში ქვეყანაში საშინელი სიცხეები დაიჭირა და საგერმანიოდ გამზადებულ ვარსკვლავებს აწუხებს.

„მგონი, აუტანელი სიცხის მიუხედავად, რასაც ვაკეთებთ, ცუდად არ გამოგვდის" — თქვა „ჩელსის" მცველმა, 27 წლის პაულუ ფერეირამ ევორას საწვრთნელ ცენტრში, რომელიც პორტუგალიის სამხრეთით, ალენტეჟოში მდებარეობს.

ახლა კი მოდი, თერმომეტრს დავხედოთ: ორშაბათს, ხსენებულ ევორაში, რომელიც ლისაბონიდან 150 კილომეტრშია, 35 გრადუსი ხვატი იდგა.

„ვალენსიას" მცველი მიგელი: გერმანიაში ოთხ ივნისს ჩავალთ და აქაურობასთან შესაგუებლად ერთი კვირა გვექნება. სიცხე კი სულაც არ არის ცუდი, ის საკუთარ თავთან გვაბრუნებს. ამ სიცხეში ცოტას წონაშიც დავიკლებთ" .

პორტუგალიელებს შემდეგი ამხანაგური მატჩი 3 ივნისს ელით, საფრანგეთის ქალაქ მეცში მათთან შესაჯიბრებლად ლუქსემბურგი ჩავა, თუმცა ამ შეხვედრაში, ისევე, როგორც მუნდიალზე ველარ ითამაშებს „ეშტრელა ამადორას" მეკარე ბრუნო ვალე, რომელმაც 21 წლამდელთა ევროპის პირველობაზე ფეხი მოიტეხა, მეორე ნაკრების შემადგენლობაში, სერბეთთან შეხვედრაში კი თითქოსდა გამთელებული ძვალი თავიდან დაიზიანა.

„ეს ბრუნოს ცხოვრებაში უმძიმესი მომენტია — განაცხადა ნაკრების ბრაზილიელმა თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ — მაგრამ ის მეტისმეტად ნიჭიერია და როგორც კი გამოჯანმრთელდება მხარში ამოვუდგებით".

**პაპუნა ქედია**



სკოლარის სიცხის არ ეშინია

# ილიას შვილი

**სერბეთ-ჩერნიგორიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილია პეტკოვიჩმა გადაწყვიტა, დაშავებული მირკო ვუჩინიჩი თავისი ვაჟით, დუშანით შეცვალოს. იტალიური „ლეჩეს" ახალგაზრდა და ნიჭიერი ფორვარდი მუნდიალზე სერბთა ერთ-ერთი მთავარი იმედი იყო, მაგრამ მან ევროპის ოცდაერთწლამდელთა ჩემპიონატზე მუხლის ტრავმა მიიღო და ექიმებმა დანამდვილებით განაცხადეს, ვუჩინიჩი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებსო.



მირკო ვუჩინიჩი

რა თქმა უნდა, ილია პეტკოვიჩს ჟურნალისტებმა ჰკითხეს ფორვარდი ფორვარდით რატომ არ შეცვალეო, მაგრამ მან თავი იმით იმართლა, რომ 5 თავდამსხმელი ისედაც მყავს, ხოლო დუშანი დაცვაში გვეხმარებაო. საქმე ის არის, რომ სერბთა თავკაცის 32 წლის ვაჟი ამპლუით მცველია, რომელსაც ნახევარდაცვაშიც ძალუძს თამაში.

დუშან პეტკოვიჩმა რამდენიმე წელი მოსკოვის „სპარტაკსა" და გერმანულ „ვოლფსბურგში" გაატარა, გასულ აპრილს კი სამშობლოში დაბრუნდა და ბელგრადის ოფკ-ში გადავიდა. ეროვნულ ნაკრებში მან 12 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

„ილია პეტკოვიჩმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მის არჩევანს ვემხრობით. დუშანი ნაკრებს რამდენიმე დღეში ავსტრიაში შეუერთდება და სამუნდიალოდ ვარჯიშს დაიწყებს" — ნათქვამია სერბეთისა და ჩერნიგორიის ფეხბურთის ასოციაციის ოფიციალურ განცხადებაში.

**გიორგი ქაქაბაძე**



# უწიგნური მელომანი

*„ვალენსიას" მთავარმეგოლე დავიდ ვილია ერთ-ერთი იმ 23 მეომართაგანია, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთის ღირსებას დაიცავენ. ამჟამინდელი „ფურია როხას" ფეხბურთელები სულ იმუქრებიან, 2006 წლის მუნდიალს ჩვენ მოვიგებთო და ამათგან არც ვილიაა გამონაკლისი. იმას, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენს შესაძლო გამარჯვებას ირონიული ღიმილით ხვდება, 9 ივლისს წავუხდენთ ხასიათს, როცა მოგებულ თასს აღვმართავთო — განუცხადა ესპანელმა ფორვარდმა კატალონიურ „ელ მუნდო დეპორტივოს".*

— რუსეთთან ამხანაგური მატჩი უგოლოდ დასრულდა. წინასამუნდიალო პირველ თამაში ვერც თქვენ შეძელით გოლის გატანა და ვერც თქვენმა თანაგუნდელებმა. ეს ესპანეთის სისუსტეს ნიშნავს?

— არავითარ შემთხვევაში. რა თქმა უნდა, ბრწყინვალე იქნებოდა, რუსებთან მატჩი 5:0 ან უფრო დიდი ანგარიშით მოგვეგო, თუმცა ამ შეხვედრას უფრო საცდელი ხასიათი ჰქონდა და უგოლო ფრეზე ჩვენთან არავინ წუწუნებს.

— მწვრთნელებსაც და ფეხბურთელებსაც გიძნელდებათ გულშემატკივრებისადმი სიყვარულის გამოხატვა, რატომ?

— მარტო მოედანზე კარგი თამაშით და მოგებით შეიძლება ინჩასებისადმი სიყვარულის დამტკიცება. მუნდიალის მოგება საამისოდ საუკეთესო საშუალებაა. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებისთვის თავს არ დავზოგავთ, დანარჩენი კი უკვე ბედზეა დამოკიდებული.

— ამბობთ, რუსეთთან მატჩი საცდელი იყოო. ნაკრებში ექსპერიმენტები ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის? მუნდიალი კარზეა მომდგარი...

— მე იმის მომხრე ვარ, რომ სათამაშო სისტემები თავად ფეხბურთელებმა შეარჩიონ. არავითარი ცდები და ექსპერიმენტები, 23 კაცი ვართ, რომლებსაც ყველაზე მეტად ბრძოლა და გამარჯვება გვინდა. ეს არის და ეს.

— ნაკრების ძლიერი მხარეები დაცვა და თავდასხმაა. ნახევარდაცვის ხაზი რუსებთან ხსენებულ ჯახში რაღაც მეტისმეტად დუნე იყო...

— თქვენ ახლა მარტო უარყოფითზე საუბრობთ, არადა, დადებითიც ბევრი იყო იმ თამაშში. რუსეთი საკმაოდ ძლიერი ნაკრებია და ჩვენ მასთან ოთხი თუ ხუთი საგოლე მომენტი შევქმენით. ბურთი ძირითადად სულ ჩვენთან იყო და თუ გოლი ვერ გავიტანეთ, ეს მარტო ჩვენი მოერიშეების უზუსტობის ბრალი არ არის.

— შეეჩვიეთ, რომ მთელი ესპანეთი დავიდ ვილიას გატანილ გოლს ელოდება?

— ნაკრებში გოლის გატანა მარტო მე ხომ არ მევალება. თუმცა თავდამსხმელი, ცხადია, გოლებით უნდა ცოცხლობდეს...

— პრიმერადივიზიონის საუკეთესო ესპანელი მეგოლე ხართ და მეტოქის კარის აწიოკებასაც თქვენგან განსაკუთრებით ელოდებიან...

— ჩემპიონატში დანარჩენ ესპანელებზე მეტი გოლი გავიტანე, თუმცა ნაკრებში პასუხისმგებლობას ყველა ერთნაირად ვინაწილებთ.

— ლუის გარსია, ფერნანდო ტორესი და თქვენ მოედანზე შესანიშნავად უგებთ ერთმანეთს. ამ სამეულის კარგი თამაში მუნდიალზე ბევრი გოლის საწინდარი იქნება?

— რა თქმა უნდა. ჩვენი ტრიო მეტოქეებს თავსატეხს გაუჩენს.

— გოლი უფრო შრომის შედეგია თუ გამართლების?

— ცოტ-ცოტა ყველაფერია.

— ესპანეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბევრი წარმატება არ უზეიმია, გერმანიაში თქვენს თამაშს „წარსულის აჩრდილები" ხომ არ დააბრკოლებენ?

— ამის არ მჯერა. წარსულში რაც მოხდა, მოხდა, გერმანიაში კი გამარჯვებისთვის ჩავალთ და არა წინა მუნდიალების გამოსატირებლად...

— ესპანურ პრიმერაზე ვისაუბროთ. „ვალენსიაში" სათამაშოდ „ლივერპულიდან" ფერნანდო მორიენტესი გადმოვიდა. „ელ მოროს" შემატებაზე რას გვეტყვით?

— ძალიან მიხარია, ფერნანდო ესპანეთში რომ დაბრუნდა. მორიენტესი შესანიშნავი ფეხბურთელია და „ვალენსიაც" მისი დახმარებით მომავალ სეზონში გაძლიერდება.

— 2005-06-ის პრიმერას ჩემპიონი „ბარსელონა" გახდა. ამბობენ, რომ სანამ ესპანეთის პრემიერად „ბარსას" ფანი საპატეროა, ჩემპიონები სულ კატალონიელები იქნებიან...

— „ბარსელონამ" ოქროს მედლები იმიტომ მოიპოვა, რომ სხვაზე უკეთ ითამაშა.

— ფეხბურთისგან თავისუფალ დროს რითი ერთობით, წიგნებს კითხულობთ?

— არა, ძირითადად მუსიკას ვუსმენ.

— რომელ ჯგუფს ან მომღერალს ანიჭებთ უპირატესობას?

— ფავორიტები არ მყავს. შემიძლია, ბევრნაირ მუსიკას მოვუსმინო, გააჩნია, რა გუნებაზე ვიქნები.

— მსოფლიოს ჩემპიონობის სანაცვლოდ თქვენ პირად, ფულად ჯილდოზე უარს თუ იტყოდით?

— ფული ძალიან გეხმარება ცხოვრებაში, მაგრამ მასში ბედნიერება არ არის.

— აი, თქვენ მსოფლიოს ჩემპიონობა გინდათ, ამაზე კი ზოგიერთს მხოლოდ ეღიმება...

— ვინც ჩვენს შესაძლო გამარჯვებას ირონიული ღიმილით ხვდება, ხასიათს ფინალის შემდეგ წავუხდენთ, თასს ჰაერში რომ ავღმართავთ...

— დასასრულს, გულშემატკივრებს რას იტყოდით?

— მუნდიალზე ძველებურად გვიქომაგონ. რუსეთთან ჯახი ცდა იყო მხოლოდ, მთავარი ომი უკრაინასთან მატჩით იწყება.



რაიკარდი და ნეესკენსი

# იოჰან II დაბრუნდა

**ფრანკ რაიკარდმა** უკვე გადაწყვიტა „აიაქსში“ წასულ ჰენკ ტენ კატეს ვინ შეცვლის — „ბარსელონას“ დამრიგებლის თანაშემწედ ივლისიდან იოჰან ნეესკენსს, ჰოლანდიური ფეხბურთის და „ბარსელონას“ ძველ ლეგენდას ვიხილავთ.

რინუს მიხელსის დროინდელი ბრწყინვალე ჰოლანდიის ნახევარმცველი ამჟამად გუს ჰიდინკის ავსტრალიის ნაკრებში მუშაობს. ნეესკენსს აქამდე ოკეანელთა გუნდში ჰიდინკის შემცვლელადაც მოიაზრებდნენ, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, 70-ანი წლების ვარსკვლავი თავის მეგობარ რაიკარდთან არჩევს გადაბარგებას.

ნეესკენსი და რაიკარდი ერთმანეთის სათამაშო ფილოსოფიას ზედმიწევნით კარგად იცნობენ. ეს ორი სახელგანთქმული ჰოლანდიელი ნარინჯისფერთა ნაკრებში ოდინდელი მწვრთნელის, იმავე ჰიდინკის თანაშემწეები იყვნენ, ხოლო შემდეგ ნეესკენსი უკვე მთავარ მწვრთნელად ქცეულ რაიკარდის დამხმარედ მუშაობდა. ასე რომ, ძველ მეგობრებს „ბარსაში“ ურთიერთგაგების პრობლემა არ შეაწუხებთ.

იოჰან ნეესკენსმა „ბარსელონაში“ 1974-79 წლებში ითამაშა და 219 მატჩში 53 გოლი შეაგდო. ამ მშრალი ფაქტების მიღმა კი ფანთა უსაზღვრო სიყვარული იმალება. სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ინჩასთა დიდი ნაწილი „კამპ ნოუზე“ სწორედ იოჰან II-ს (მეორე იოჰანი დიდი კრუიფის შემდეგ) სანახავად დადიოდა. ნეესკენსმა 1979 წელს თასების თასის მოგებაში ლომის წვლილი შეიტანა და ზუსტად ამიტომ იყო, ფინალის მერე ბარსელონის ქუჩებში ხალხმა — ძირს პრეზიდენტი ნუნიესი, ნეესკენს გაუმარჯოსო — მთელი ღამე რომ იყვირა... მაშინდელ პრეზიდენტს იოჰან მეორეს გუნდიდან გაშვების სურვილი კინაღამ თანამდებობის ფასად დაუჯდა... ამჯერად ნეესკენსი თავის გამოცდილებას „ბარსელონას“, მწვრთნელის რანგში მოახმარს.

**ლადო ხომერიკი**

# მე თქვენ გაჩვენებთ ფაბიო კაპელოს!

**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა რამონ კალდერონმა განაცხადა, რომ არჩევნებში მისი გამარჯვების შემთხვევაში „სამეფო გუნდის“ მწვრთნელი არც მეტი არც ნაკლები, „იუვენტუსის“ დღევანდელი თავკაცი ფაბიო კაპელო გახდება.

„თუ პრეზიდენტად მე ამირჩევენ, კაპელოს მადრიდში 3 ივლისს ნახავთ“ — უთხრა კალდერონმა „მარკას“.



ალსანიშნავია, რომ კალდერონისა და კაპელოს ამბავი გუშინვე დაწერეს იტალიურმა გაზეთებმაც, მაგრამ მათ საკუთრივ მწვრთნელის კომენტარიც ახლდა, სადაც „რეალში“ უკვე ნამუშევარი და ესპანეთის ჩემპიონი იტალიელი ამბობს, რომ ის არავის არაფერს დაპირებია.

ალსანიშნავია, რომ კალდერონს თავისი კანდიდატურა ოფიციალურად ჯერ არ წამოუყენებია, მაგრამ კაპელოს გარდა წარსულში ცნობილი სერბი თავდამსხმელი პრედრაგ მიატოვიჩიც ახსენა, ოღონდ დასძინა, ის სპორტულ დირექტორად მეყოლებაო. შეგახსენებთ, რომ მიატოვიჩი ის ფორვარდია, რომელმაც 1998 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსს“ გაუტანა გამარჯვების გოლი.





„რეალის“ პრეზიდენტობის სხვა სამი კანდიდატი კი კარგად ნაცნობი ლორენსო სანსი, რომელიც ამჯერად ასპარეზზე ხუან მიგელ ვილია მირთან ერთად გამოდის, ბიზნესმენი ხუან პალასიოსი და ვექილ-ეკონომისტი არტურო ბალდასანი გახლავთ.

და ვინ იქნება მწვრთნელი ამ კანდიდატების გამარჯვების შემთხვევაში? თუ სანსი გაიმარჯვებს, უპირველეს ყოვლისა არსენ ვენგერზეა ლაპარაკი.

„ჩვენ ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ და ვენგერთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ“ — განაცხადა სანსმა, თუმცა დასძინა, რომ ის და მისი მეწყვილე სვენ გორან ერიკსონის მიწვევაზეც მუშაობენ.

სხვათა შორის, აქ, მწვრთნელთა ვინაობაზე არანკლებ საინტერესო ის სტრუქტურული ცვლილებები გახლავთ, რომელსაც სანსი კლუბში გეგმავს. კერძოდ, მისი გეგმის თანახმად, „რეალის“ გენერალური მენეჯერი ხუან მიგელ ვილია მირი გახდება და მას მიეცემა არნახულად გაფართოებული უფლებები. ამასთან, ის შეიქნება თითოეულ ფეხბურთელზე პასუხისმგებელი და განკარგავს ყველაფერს, პირველი გუნდიდან ბავშვთა სკოლის ჩათვლით.

დანარჩენი ორი კანდიდატის გეგმებზე ჯერ არაფერია ცნობილი.

**პაპუნა ძედია**

# რონალდოს მამამ ქალი დააკაწრა



**რონალდოს** მამა ორშაბათს საავტომობილო კატასტროფაში მოყვა, თუმცა, რიოელ ექიმთა განცხადებით, 57 წლის ნელიო ნასარიო და ლიმას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ბრაზილიური მედია გვამცნობს, რომ სეუ ნელიომ მანქანა ვერ დაიმორჩილა და რიუ სანტუშის ტრასაზე გზისპირა თხრილში ჩავარდა. საბედნიეროდ, მისი მდგომარეობა რთული არ არის. ასევე უმნიშვნელო ნაკაწრებით გადარჩა სენიორა მარია გორეჩ დე ოლივეირა, ნელიოს მეგობარი ქალი, რომელიც მანქანაში იმყოფებოდა.

თავად რონალდომ, რახან მამა სამშვიდობოზე დაიგულა, შვებით ამოისუნთქა და ჟურნალისტებს თავის მომავალზეც უთხრა ორიოდ სიტყვა. „ახლა მუნდიალზე და „რეალზე“ ვფიქრობ, თუმცა არაა გამორიცხული, კარიერა ამერიკულ „რედ ბულსში“ დავასრულო“ — განაცხადა კიჭამ. ხსენებული გუნდი რონალდოს ათწლიან კონტრაქტს და 120 მილიონ დოლარს სთავაზობს.

**ლადო ხომერიკი**



## ნორვეგია

ტიპელიგა. X ტური

ფრედრიკსტადი 5:3 ტრომსიო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 10 | 7 | 3 | 0 | 19:7 | 24 |
| ლილესტრომი | 10 | 6 | 3 | 1 | 19:11 | 21 |
| ოდ გრენლანდი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:8 | 14 |
| როსენბორგი | 10 | 3 | 5 | 2 | 14:12 | 14 |
| სანდეფიორდი | 10 | 4 | 2 | 4 | 11:13 | 14 |
| ვიკინგი | 10 | 3 | 4 | 3 | 9:9 | 13 |
| ჰამ კამი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:12 | 12 |
| სტაბეკი | 10 | 2 | 6 | 2 | 10:10 | 12 |
| ვოლერენგა | 10 | 3 | 3 | 4 | 9:10 | 12 |
| ფრედრიკსტადი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:17 | 12 |
| მოლდე | 10 | 3 | 2 | 5 | 10:13 | 11 |
| ლინი | 10 | 3 | 2 | 5 | 9:13 | 11 |
| სტარტი | 10 | 2 | 4 | 4 | 8:12 | 10 |
| ტრომსიო | 10 | 1 | 3 | 6 | 9:16 | 6 |

# ბალაკიან ჩელსის სპილოღა აკლდა

**ინგლისის** ჩემპიონმა „ჩელსიმ“ „ფეიენოორდთან“ შეთანხმებას მიაღწია და როტერდამელთა ფორვარდი სალომონ კალუც მომავალ სეზონში „სტემფორდ ბრიჯზე“ ითამაშებს.

20 წლის სალომონ კალუ კოტ დივუარის ნაკრების კაპიტან ბონავენტურე კალუს ძმა გახლავთ. მას ჰოლანდიის მოქალაქეობის მიღება და ნარინჯისფერთა ნაკრებში თამაში უნდოდა, თუმცა ეს ამბავი აღარ გამოვიდა და უმცროსი კალუც, როგორც თავად განუცხადა „სპორტვივის“ ჟურნალისტს, მუნდიალის შემდეგ „სპილოების“ ნაკრებში აპირებს ბურთაობას.

აბრამოვიჩის „ჩელსი“ კი აფრიკელის მისვლამდეც საკმაოდ გაძლიერდა. შეგახსენებთ, რომ ლონდონელებმა „ბაიერნიდან“ მიხაელ ბალაკი შეიმატეს, ხოლო „მილანიდან“ ანდრეი შევჩენკო მიჰყავთ.

**ლადო ხომერიკი**

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14



# მსოფლიოს თასი

# გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

## მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიიდან. F ჯგუფი: ბრაზილია, ხორვატია, ავსტრალია, იაპონია

### ბრაზილია

**1930 ურუგვაი**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 1:2 იუგოსლავია
ბოლივია 0:4 ბრაზილია

**1934 იტალია**

მერვედფინალი
ესპანეთი 3:1 ბრაზილია

**1938 საფრანგეთი**

მერვედფინალი
ბრაზილია 6:5 პოლონეთი
მეოთხედფინალი
ბრაზილია 2:1 ჩეხოსლოვაკია
ნახევარფინალი
იტალია 2:1 ბრაზილია
მესამე ადგილისთვის
ბრაზილია 4:2 შვედეთი

**1950 ბრაზილია**

I ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 4:0 მექსიკა
ბრაზილია 2:2 შვეიცარია
ბრაზილია 2:0 იუგოსლავია
ფინალური ჯგუფი
ბრაზილია 7:1 შვედეთი
ბრაზილია 6:1 ესპანეთი
ბრაზილია 1:2 ურუგვაი

**1954 შვეიცარია**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 5:0 მექსიკა
ბრაზილია 1:1 იუგოსლავია
მეოთხედფინალი
უნგრეთი 4:2 ბრაზილია

**1958 შვედეთი**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 3:0 ავსტრია
ბრაზილია 2:0 სსრკ
ინგლისი 3:0 ბრაზილია
მეოთხედფინალი
ბრაზილია 1:0 უელსი
ნახევარფინალი
ბრაზილია 5:2 საფრანგეთი
ფინალი
ბრაზილია 5:2 შვედეთი

**1962 ჩილე**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 2:0 მექსიკა
ბრაზილია 2:1 ესპანეთი
ბრაზილია 0:0 ჩეხოსლოვაკია
მეოთხედფინალი
ბრაზილია 3:1 ინგლისი
ნახევარფინალი
ბრაზილია 4:2 ჩილე
ფინალი
ბრაზილია 3:1 ჩეხოსლოვაკია

**1966 ინგლისი**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 2:0 ბულგარეთი
პორტუგალია 3:1 ბრაზილია
უნგრეთი 3:1 ბრაზილია

**1970 მექსიკა**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 1:0 ინგლისი
ბრაზილია 4:1 ჩეხოსლოვაკია
ბრაზილია 3:2 რუმინეთი



პელეს „მაკრატელი"

მეოთხედფინალი
ბრაზილია 3:2 პერუ
ნახევარფინალი
ბრაზილია 3:1 ურუგვაი
ფინალი
ბრაზილია 4:1 იტალია

**1974 გფრ**

I ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 0:0 იუგოსლავია
ბრაზილია 0:0 შოტლანდია
ბრაზილია 3:0 ზაირი
II ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 1:0 გდრ
ბრაზილია 2:1 არგენტინა
ჰოლანდია 2:0 ბრაზილია
მესამე ადგილისთვის
პოლონეთი 1:0 ბრაზილია

**1978 არგენტინა**

I ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 0:0 ესპანეთი
შვედეთი 1:1 ბრაზილია
ბრაზილია 1:0 ავსტრია
II ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 3:0 პერუ
ბრაზილია 3:1 პოლონეთი
არგენტინა 0:0 ბრაზილია
მესამე ადგილისთვის
ბრაზილია 2:1 იტალია

**1982 ესპანეთი**

I ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 2:1 სსრკ
ბრაზილია 4:1 შოტლანდია
ბრაზილია 4:0 ახალი ზელანდია
II ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 3:1 არგენტინა
იტალია 3:2 ბრაზილია

**1986 მექსიკა**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 1:0 ესპანეთი
ბრაზილია 1:0 ალჟირი
ბრაზილია 3:0 ჩრ. ირლანდია
მერვედფინალი
ბრაზილია 4:0 პოლონეთი
მეოთხედფინალი
საფრანგეთი 1:1(პენ.4:3) ბრაზილია

**1990 იტალია**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 2:1 შვედეთი
ბრაზილია 1:0 შოტლანდია
ბრაზილია 1:0 კოსტა რიკა
მერვედფინალი
არგენტინა 1:0 ბრაზილია

**1994 აშშ**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 2:0 რუსეთი
ბრაზილია 3:0 კამერუნი
ბრაზილია 1:1 შვედეთი
მერვედფინალი
ბრაზილია 1:0 აშშ
მეოთხედფინალი
ჰოლანდია 2:3 ბრაზილია
ნახევარფინალი
ბრაზილია 1:0 შვედეთი
ფინალი
ბრაზილია 0:0(პენ.3:2) იტალია



ხორვატია ბრინჯაოს ზეიმობს

**1998 საფრანგეთი**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 2:1 შოტლანდია
ბრაზილია 1:2 ნორვეგია
ბრაზილია 3:0 მაროკო
მერვედფინალი
ბრაზილია 4:1 ჩილე
მეოთხედფინალი
ბრაზილია 3:2 დანია
ნახევარფინალი
ბრაზილია 1:1(პენ.4:2) ჰოლანდია
ფინალი
ბრაზილია 0:3 საფრანგეთი

**2002 კორეა-იაპონია**

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 2:1 თურქეთი
ბრაზილია 4:0 ჩინეთი
კოსტა რიკა 2:5 ბრაზილია
მერვედფინალი
ბრაზილია 2:0 ბელგია
მეოთხედფინალი
ინგლისი 1:2 ბრაზილია
ნახევარფინალი
ბრაზილია 1:0 თურქეთი
ფინალი
ბრაზილია 2:0 გერმანია

### ხორვატია

**1998 საფრანგეთი**

ჯგუფური ეტაპი
იამაიკა 1:3 ხორვატია
არგენტინა 1:0 ხორვატია
იაპონია 0:1 ხორვატია
მერვედფინალი
რუმინეთი 0:1 ხორვატია
მეოთხედფინალი
გერმანია 0:3 ხორვატია
ნახევარფინალი
საფრანგეთი 2:1 ხორვატია
მესამე ადგილისთვის
ხორვატია 2:1 ჰოლანდია

**2002 კორეა-იაპონია**

ჯგუფური ეტაპი
ხორვატია 0:1 მექსიკა
იტალია 1:2 ხორვატია
ეკვადორი 1:0 ხორვატია

### ავსტრალია

**1974 გფრ**

ჯგუფური ეტაპი
გდრ 2:0 ავსტრალია
გფრ 3:0 ავსტრალია
ჩილე 0:0 ავსტრალია

### იაპონია

**1998 საფრანგეთი**

ჯგუფური ეტაპი
არგენტინა 1:0 იაპონია
იაპონია 0:1 ხორვატია
იაპონია 1:2 იამაიკა

**2002 კორეა-იაპონია**

ჯგუფური ეტაპი
იაპონია 2:2 ბელგია
იაპონია 1:0 რუსეთი
ტუნისი 0:2 იაპონია
მერვედფინალი
იაპონია 0:1 თურქეთი

# სარბიელი და კრონი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 14 | ლიერსი-ლომელი | 1.70 | 3.30 | 4.10 | 1.12 | 1.20 | 1.82 |
| 21:00 | 15 | ვიზორი-ველი | 2.25 | 3.20 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 37 | ჰამარი-მოლდე | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 20:00 | 38 | ლინი-ვიკინგი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 20:00 | 39 | ოდ გრენლანდ-ფრედრიკსტადი | 1.95 | 3.40 | 3.40 | 1.23 | 1.23 | 1.70 |
| 20:00 | 40 | სანდეფიორდი-სტარტი | 2.60 | 3.30 | 2.50 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| 20:00 | 41 | ტრომსიო-ლილესტრიომი | 2.75 | 3.30 | 2.35 | 1.50 | 1.26 | 1.37 |
| 22:00 | 42 | როზენბორგი-ბრანი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 283 | ტრომსდალენი-ჰიონეფოსი | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 53 | იონკოპინგი-ასირისკა | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 54 | ატვიდაბერგი-ვესბი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 21:00 | 55 | დეგერფორსი-იორებრო | 3.45 | 3.30 | 1.90 | 1.68 | 1.22 | 1.20 |
| 21:00 | 56 | ფალკენბერგი-ლიუნგსკილე | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 21:00 | 57 | ლანდსკრონა-ტრელებორგი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 21:00 | 58 | მიალბი-ქვიდინგი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 21:00 | 59 | სუნდსვალი-ნორჩიოპინგი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 21:00 | 60 | უმეა-ბრომაპოიკარნა | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 19:30 | 68 | ჰაკა-ლაჰტი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:30 | 69 | კუოპიო-ჰონკა | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| 19:30 | 70 | მარიეჰამნი-ინტერი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:30 | 71 | მიუპა-იარო | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 19:30 | 72 | ტურკუ-კტპ | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 19:30 | 73 | ვპს-ჰიკ | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 85 | ვაშინგტონი-კოლამბუსი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 86 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 93 | კრუზეირო-ატლეტიკო პრ | 1.55 | 3.40 | 5.30 | 1.06 | 1.19 | 2.07 |
| 23:45 | 94 | ფორტალესა-ვასკუ და გამა | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:45 | 95 | ჟუვენტუდი-პონტე პრეტა | 1.55 | 3.40 | 5.30 | 1.06 | 1.19 | 2.07 |
| 23:45 | 96 | სან კაეტანო-ინტერნასიონალი | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 23:45 | 97 | ფლამენგო-პალმეირასი | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 23:45 | 98 | გრემიო-სანტოსი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 99 | სან პაულუ-ფლუმინენსე | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 100 | ბოტაფოგო-ფიგეირენსე | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 23:45 | 101 | კორინთიანსი-გოიასი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 23:45 | 102 | პარანა-სანტა კრუსი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 18:30 | 134 | ირანი-ბოსნია | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 22:00 | 135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 4.90 | 3.40 | 1.60 | 2.00 | 1.20 | 1.08 |
| 22:45 | 136 | შვეიცარია-იტალია | 3.30 | 3.10 | 2.05 | 1.59 | 1.26 | 1.23 |
| 22:15 | 137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 23:00 | 138 | საფრანგეთი-დანია | 1.55 | 3.40 | 5.80 | 1.06 | 1.22 | 2.14 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 19:00 | 124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 21:00 | 139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 22:00 | 140 | ჰოლანდია-მექსიკა | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| | | **ეჩ.(21) პორტუგალია** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 330 | საფრანგეთი(21)-ჰოლანდია(21) | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 22:30 | 331 | უკრაინა(21)-სერბეთი(21) | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 327 | მარუსი-არისი | 1.55 | 12.00 | 2.20 | 1.37 | 1.00 | 1.85 |
| 20:00 | 328 | პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 1.20 | 12.00 | 3.80 | 1.09 | 1.00 | 2.88 |

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | **ჩოგბურთი.კაცები.Roland Garros** | | |
| | | **31 მაისი** | | |
| 13:00 | 307 | ფედერერი-ფალა | 1.01 | 8.00 |
| 13:00 | 308 | მასუ-მირნი | 1.45 | 2.35 |
| 13:00 | 309 | ბერდიხი-ვოლანდრი | 1.35 | 2.50 |
| 13:00 | 310 | კიფერი-გიკველი | 1.20 | 3.30 |
| 13:00 | 311 | ანჩიჩი-კაპდევილე | 1.25 | 3.00 |
| 13:00 | 312 | აკასუსო-დლოუგი | 1.11 | 4.50 |
| 13:00 | 313 | რობრედო-ბოზოლიაცი | 1.02 | 8.00 |
| 13:00 | 314 | ნალბანდიანი-გასკე | 1.15 | 4.00 |
| 13:00 | 315 | ხენმენი-ტურსუნოვი | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 316 | გროსჟანი-ვასაიო არგუეიო | 1.11 | 4.50 |
| 13:00 | 317 | ნ ლაპენტი-სლიუტერი | 1.60 | 2.00 |
| 13:00 | 318 | გაუდიო-კოროლიოვი | 1.30 | 2.95 |
| 13:00 | 319 | ფერერო-კოლშრაიბერი | 1.20 | 3.60 |
| 13:00 | 320 | მოია-იუჟნი | 1.35 | 2.55 |
| 13:00 | 321 | დავიდენკო-სერეტა | 1.10 | 4.00 |
| | | **ჩოგბურთი.ქალები.Roland Garros** | | |
| | | **31 მაისი** | | |
| 13:00 | 306 | შარაპოვა-ბენესოვა | 1.15 | 3.80 |
| 13:00 | 322 | მორესმო-დუშევინა | 1.04 | 6.00 |
| 13:00 | 323 | არვიდსონი-ვაკულენკო | 1.90 | 1.65 |
| 13:00 | 324 | დ საფინა-სრომოვა | 1.05 | 5.00 |
| 13:00 | 332 | იანკოვიჩი-ბარტოლი | 1.50 | 2.10 |
| 13:00 | 333 | სუგიამა-რაზაი | 1.40 | 2.40 |
| 13:00 | 334 | ვაიდისოვა-სუნი | 1.10 | 5.00 |
| 13:00 | 335 | ვ უილიამსი-ლაინე | 1.05 | 6.00 |
| 13:00 | 336 | პენგი-სპრემი | 1.60 | 2.00 |
| 13:00 | 337 | პ შნაიდერი-გაიდოსოვა | 1.10 | 5.00 |
| 13:00 | 338 | მოლიკი-პერიანუ | 1.90 | 1.65 |
| 13:00 | 339 | სრებოტნიკი-ხარკლეროდი | 1.30 | 2.90 |

| რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი) | | | |
|---|---|---|---|
| 12124 | ესტონეთი-ახ. ზელანდია | 1.70 | 1.90 |
| 12134 | ირანი-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 12135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 1.85 | 1.70 |
| 12136 | შვეიცარია-იტალია | 1.60 | 2.00 |
| 12137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.70 | 1.90 |
| 12138 | საფრანგეთი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 12139 | ნორვეგია-სამხ. კორეა | 1.60 | 2.00 |
| 12140 | პოლანდია-მექსიკა | 1.70 | 1.90 |

| გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 13124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 1.70 | 1.90 |
| 13134 | ირანი-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 13135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13136 | შვეიცარია-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 13137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.70 | 1.90 |
| 13138 | საფრანგეთი-დანია | 1.90 | 1.70 |
| 13139 | ნორვეგია-სამხ. კორეა | 1.70 | 1.90 |
| 13140 | პოლანდია-მექსიკა | 1.90 | 1.70 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება) | | | |
|---|---|---|---|
| 14124 | ესტონეთი-ახ. ზელანდია | 1.40 | 2.40 |
| 14134 | ირანი-ბოსნია | 1.40 | 2.40 |
| 14135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 2.40 | 1.30 |
| 14136 | შვეიცარია-იტალია | 2.20 | 1.70 |
| 14137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.60 | 2.20 |
| 14138 | საფრანგეთი-დანია | 1.30 | 2.50 |
| 14139 | ნორვეგია-სამხ. კორეა | 1.70 | 2.10 |
| 14140 | პოლანდია-მექსიკა | 1.25 | 2.40 |

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15124 | ესტონეთი-ახ. ზელანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | ირანი-ბოსნია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | შვეიცარია-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15137 | სლოვენია-ტრინიდადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15138 | საფრანგეთი-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15139 | ნორვეგია-სამხ. კორეა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | პოლანდია-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

| ფრეს ბარეშე (ძირ დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 16124 | ესტონეთი-ახ. ზელანდია | 1.20 | 3.40 |
| 16134 | ირანი-ბოსნია | 1.30 | 2.90 |
| 16135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 3.40 | 1.18 |
| 16136 | შვეიცარია-იტალია | 2.40 | 1.40 |
| 16137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.37 | 2.40 |
| 16138 | საფრანგეთი-დანია | 1.18 | 3.40 |
| 16139 | ნორვეგია-სამხ. კორეა | 1.45 | 2.30 |
| 16140 | პოლანდია-მექსიკა | 1.25 | 3.20 |

| გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად) | | | |
|---|---|---|---|
| 17124 | ესტონეთი-ახ. ზელანდია | 1.85 | 1.95 |
| 17134 | ირანი-ბოსნია | 1.85 | 1.95 |
| 17135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17136 | შვეიცარია-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17137 | სლოვენია-ტრინიდადი | 1.85 | 1.95 |
| 17138 | საფრანგეთი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ნორვეგია-სამხ. კორეა | 1.85 | 1.95 |
| 17140 | პოლანდია-მექსიკა | 1.85 | 1.95 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 2.15 | 2.00 | 5.00 | 1.03 | 1.50 | 1.42 |
| 10134 | ირანი-ბოსნია | 2.20 | 2.00 | 4.70 | 1.04 | 1.49 | 1.40 |
| 10135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 5.00 | 2.00 | 2.00 | 1.42 | 1.42 | 1.00 |
| 10136 | შვეიცარია-იტალია | 3.80 | 1.90 | 2.50 | 1.26 | 1.50 | 1.07 |
| 10137 | სლოვენია-ტრინიდადი | 2.45 | 1.90 | 4.00 | 1.07 | 1.51 | 1.28 |
| 10138 | საფრანგეთი-დანია | 1.90 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.41 | 1.51 |
| 10139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 2.55 | 1.90 | 3.45 | 1.08 | 1.46 | 1.22 |
| 10140 | პოლანდია-მექსიკა | 2.05 | 2.00 | 5.40 | 1.01 | 1.48 | 1.45 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11124 | ესტონეთი-ახალი ზელანდია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11134 | ირანი-ბოსნია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11135 | ს.არაბეთი-თურქეთი(ნ) | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.90 |
| 11136 | შვეიცარია-იტალია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11137 | სლოვენია-ტრინიდადი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11138 | საფრანგეთი-დანია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11139 | ნორვეგია-სამხრეთ კორეა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11140 | პოლანდია-მექსიკა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |

# მთელი ევროპა ერთ ჭიქაში

## ზაზა კედელაშვილმა ოქრო ფრანგის თვალებში დაინახა

***ახალგაზრდებს შორის ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი, 23 წლის ზაზა კედელაშვილი საქართველოს ძირითადი ნაკრების კანდიდატი არაერთხელ ყოფილა, თუმც დიდ ტურნირებზე მოსახვედრად სულ მცირე აკლდებოდა ხოლმე. ოცნება ახლაღა აისრულა, ფინეთში, ევროპირველობაზე წამსვლელ ქართულ შვიდეულში ჩაჯდა და პირველსავე ცდაზე ჩემპიონი გახდა. თბილისში დაბრუნებულს აეროპორტში აუარებელი ხალხი დახვდა. ეს გუშინ გამთენიისას იყო. აბა, ვინ დააძინებდა, დილამდე ხელიდან ხელში გადადიოდა. სასაუბროდ რომ შევეხმიანეთ, სახლში მისულიყო და მოსასვენებლად ემზადებოდა, თუმც ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა და ცოტა ხანში თავად გვესტუმრა რედაქციაში***



— ასეთი წარმატება სხვებისთვის კი არა, პირადად ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. უფროსებს შორის ამხელა ტურნირს პირველად ვჭიდაობდი და მედალზე ფიქრი ცოტა არ იყოს, მიჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ვიყავი მომზადებული.

**— თუმცა წასვლამდე აქეთ დაგვაიმედე, უმედლოდ არ ჩამოვალო...**

— წლევანდელი ტურნირების შედეგებიდან, მოსამზადებელი ეტაპებიდან და არაადამიანური მონდომებიდან გამომდინარე გითხარით. სწორედ ამ სამი ფაქტორის ერთობლიობამ გამხადა ჩემპიონი.

**— საჩემპიონო გზა გაიხსენე. ყველაზე მეტად ვინ განერვიულა?**

— როგორც იცით, პირველ წრეში კენჭისყრამ დასვენების უფლება მომცა. მსგავსი პრივილეგიით აქამდე არასოდეს მესარგებლა და სიახლე კარგად მენიშნა. მეორე წრეში ესტონელ როზბერგს ადვილად მოვუგე და სომეხ დავთიანს დავუპირისპირდი. ეს შეხვედრა იყო ყველაზე მძიმე. მხოლოდ კოკათი გავედი ნახევარფინალში. ავსტრიელ მიტერფელნერს არასოდეს შევხვედროდი და ცოტა ფრთხილად დავიწყე. თავიდან ვაგებდი, მაგრამ ნელ-ნელა გდებებზე გამოვიჭირე.

**— მივადექით ფინალს და ფრანგ დარბალეტს. რეალურად ის იყო სხვა კონკურენტებზე ძლიერი?**

— სიძლიერითაც და გამოცდილებითაც გამორჩეულია. თავიდანვე მას ვასახელებდი მთავარ კონკურენტად და მიხარია, ფინალამდე რომ არ შევხვდი.

**— წლეულს დარბალეტს ერთხელ უკვე ეჭიდავე, მაგრამ წააგე. მარტში, პრაღის მსოფლიოს თასიდან დაბრუნებული ამბობდი, მეორედ ულაპარაკოდ მოვუგებო. რატომ იყავი ასე დარწმუნებული?**

— ჩეხეთში 2-3 წუთი ისეთი ჭიდაობა მიდიოდა, თავიდან ბოლომდე შევისწავლე. მართალია, მერე უყურადღებობის გამო წავაგე, მაგრამ ეს საგანგაშო სულაც არ იყო. წინ ევროპის ჩემპიონატი მელოდა და უბრალოდ, თავი არ შევაკალი. პრაღიდან ჩამოსვლის მერე ვიდეოჩანაწერებით კიდევ უკეთესად შევისწავლე დარბალეტის სტილი და იმედი ამანაც გამიძლიერა.

**— მაინც როდის იგრძენი, რომ ოქროს ვერავინ წაგართმევდა?**

— ნახევარფინალის მოგების შემდეგ. გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებისას კი ოქროს სტიმული თავად ფრანგმა მომცა. სახეზე რომ შევხედე, ისეთი ფერი ედო, მივხვდი, ვერ მაჯობებდა. ეს შოთა ხაბარელმაც შეამჩნია და მიყვიროდა, მიდი, ხომ ხედავ, ეშინიაო.

**— მიუხედავად ამისა, ფინალს ერთხანს აგებდი...**

— ჩემმა ძველმა სენმა შემახსენა თავი. ახალგაზრდებს შორის ჭიდაობისას თითქმის ყველა მოწინააღმდეგესთან ჯერ ვკარგავდი ქულებს და მერე ვუგებდი. ზუსტად არ ვიცი, რისი ბრალი იყო, თუმც გარწმუნებთ, ეს ცუდი თვისება თითქმის ბოლომდე გამოვასწორე. დარბალეტი იუკოთი მიგებდა. ჯერ იპონზე დავაგდე და ვაზარად შემიფარეს, მერე სუფთა ვაზარი გავაკეთე და იუკო დამიწერეს, მაგრამ საჩემპიონოდ ეს ქულებიც მეყო.

**— ოქროს მედალს ძალიან დინჯად შეხვდი. ერთიც არ გაგიღიმია.**

— ხტუნვას და სირბილს ნამდვილად ვერ დავიწყებდი. გაღიმება კი შეიძლებოდა. ძალიან მიხაროდა, მაგრამ თვითონაც არ ვიცი, რატომ ვერ გამოვხატე.

**— გაჩემპიონების წუთიდან დღემდე ყველაზე უკეთ როდის შეიგრძენი წარმატება?**

— კვარცხლბეკზე ვიდექი. ჰიმნი რომ დაიწყო, ზემოთ ავიხედე და ჩვენი დროშა დავინახე. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რამხელა მუხტი მივიღე. ისეთი ბედნიერი არც ფინალის მოგებისას ვყოფილვარ და არც თბილისის აეროპორტიდან გამოსვლისას.

**— ბევრი ხალხი დაგხვდა?**

— ვერც კი ვიოცნებებდი, იმდენი. არ ვიცი, საიდან მოგროვდნენ იმ შუაღამეს. დუდუკები, დოლ-გარმონი, შამპანურები... თავი ოლიმპიური ჩემპიონი მეგონა.

**— საქართველოს ნაკრებთან ახლოს არაერთხელ იყავი, თუმც უმეტესწილად ბოლო მომენტში რჩებოდი დიდ ტურნირებს მიღმა. როგორ ფიქრობ, ფინეთის ევროპირველობის წინ ისეთ ფორმაში ჩადექი, იქამდე რომ არასოდეს ყოფილხარ?**

— ასეც ვერ ვიტყვი. შეიძლება, შარშან და შარშანწინ უკეთეს ფორმაშიც ვიყავი, მაგრამ მარტო ოპტიმალური ფორმა წარმატებისთვის საკმარისი არაა. მას შემდეგ გამოცდილება შევიძინე, იმდენ შეცდომებს აღარ ვუშვებ და შედეგიც სახეზეა. მინდა, მადლობა გადავუხადო ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს და პირადად შოთა ხაბარელს. ეს ხალხი ტატამზე არ გასულა, თორემ სხვა მხრივ ყველანაირად ჩვენი რეჟიმით ცხოვრობდა. ღამეებს ათევდნენ, ოღონდ კი ძიუდოისტებს არაფერი მოგვკლებოდა. მადლობა ჩემს პირად მწვრთნელ გურამ მოდებაძეს, რომელიც სავიზო პრობლემების გამო თბილისიდან ადევნებდა ჩემპიონატს თვალს.

**— საინტერესოა, ჩემპიონობა როგორ აღნიშნეთ ტამპერეში?**

— პირველი დღე იყო და ქეიფი არაფრით არ გამოვიდოდა. ოთხ ქართველს ჯერ კიდევ საჭიდაო ჰქონდა. სასტუმროში თითო ჭიქა ვიკმარეთ. სულ ეგ იყო.

**— საქართველოში ასე ადვილად ვერ გამოხვალ. თან ახლო მომავალში ტურნირიც არ გელოდება...**

— შემოდგომაზე გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი და ევროპის საკლუბო პირველობა გველოდება. ამ ტურნირებისთვის მზადება 3-4 თვით ადრე უნდა დავიწყოთ. ივნისიდან შევიკრიბებით. იქამდე კი ცოტას დავისვენებ. ალბათ, ათი დღით კახეთშიც ჩავალ.

**ოთარ გაღლაძელიძე**



# თუნდაც ერთი წუთით

## ჩემპიონის ლიდერი ნაკრებზე ოცნებობს

*ნახევარფინალური სერიის ერთ-ერთი მატჩის წინ სტუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა შეგირდებს უთხრა: „ავიამშენის“ ლიდერი ირაკლი ხოშტარია 15 ქულაზე ნაკლებს თუ ჩააგდებს, ამ თამაშს მოვიგებთო. „ხოშტარამ“ 7 ქულას დასჯერდა და ტექნიკოსებმაც იმარჯვეს. მოგვიანებით, უკვე ფინალურ სერიაში, როცა „ავიამშენი“ „აზოტს“ ერკინებოდა, თითქმის იგივე განმეორდა. სერიის წაგებულ მატჩებში ავიატორთა ლიდერი ათქულიან ზღვარს ვერ ასცდა, ხოლო როცა ხოშტარია იმტაზე იყო, ლევან მოსეშვილის გუნდს არ უჭირდა. „ავიამშენის“ კაპიტანი ფინალური სერიის გადამწყვეტი ბრძოლის ბომბარდირი გახდა და ნამატჩევს მან დამსახურებულად აღმართა საჩემპიონო თასი. ირაკლი ხოშტარია საფინალო ამბებზე გვესაუბრება...*



— ფინალური სერიის წინ იმედიანად კი ვიყავით, მაგრამ გამარჯვებაში დარწმუნებულები აბა, როგორ ვიქნებოდით. როგორც იცით, შარშან „სტუ-ჯეოსელთან“ წავაგეთ ფინალი და ეს „აზოტი“ მას არაფრით ჩამოუვარდებოდა. ჩვენ ერთი რამე ვიცოდით: თუ გამოგვივიდოდა ის, რასაც ვგეგმავდით, ყველაფერი კარგად იქნებოდა.

**— მაინც, რას გეგმავდით?**

— პირველ რიგში, თბილისური მატჩები უნდა მოგვეგო, რადგან რუსთავში წარმატების იმედზე ვერ ვიქნებოდით. ამის გარდა, უშუალოდ მოედანზე მჭიდრო დაცვა უნდა გვეთამაშა, შეძლებისდაგვარად მთელ მოედანზე პრესინგის შესრულება უნდა გვეცადა. ლევან მოსეშვილის მოთხოვნა იყო, რომ ყველა კალათბურთელი, გინდაც ერთი წუთით გამოსულიყო მოედანზე, მაქსიმალურად დახარჯულიყო.

**— მერე რა ქენით, შეასრულეთ?**

— რაკი ჩემპიონები ვართ, ესე იგი შევასრულეთ.

**— რუსთავულ მატჩებზე ეს არ ითქმის...**

— „აზოტი“ 0:2 აგებდა სერიაში და უკან დასახევი გზა არ ჰქონდა. პირველ საშინაო თამაშში რუსთაველებმა აშკარად გვაჯობეს, მაგრამ მეორეში ჩვენც გვქონდა წარმატების შანსი. არ მინდა მსაჯების ფაქტორზე ვილაპარკო, მაგრამ ამის და სხვა მიზეზთა ერთობლიობამ განაპირობა ის, რომ „აზოტმა“ სერიაში ანგარიში გაგვითანაბრა.

**— გადამწყვეტი მატჩის ბომბარდირი გახდი, არადა, მანამდე რამდენჯერმე გაგიჭირდა. როგორ მოახერხე ასეთი მობილიზება?**

— ეს, ალბათ, გამოცდილების გამო მოხდა. ფინალებში და განსაკუთრებით სერიის გადამწყვეტ მატჩებში თამაშის დიდი გამოცდილება მაქვს. ეს უფრო ფსიქოლოგიური მომენტი იყო, ვიდრე სპორტული. ალბათ იმიტომ ვითამაშე კარგად, რომ, შედარებით გამოუცდელი მოთამაშეებისგან განსხვავებით, სხვა რამეზე არ ვფიქრობდი და მთლიანად მატჩში ვიყავი ჩართული. ფინალურ შეხვედრებში მანამდელი ჩავარდნები კი წმინდა ფიზიკური მიზეზით იყო გამოწვეული. მიკროტრავმები მაწუხებდა და ფორმის შენარჩუნებას ვერ ვახერხებდი.

**— სუპერფინალის წინ რა განწყობა გქონდა? მით უფრო, რომ შარშან „ავიამშენში“ უკვე წაგებული გქონდა ფინალის გადამწყვეტი მატჩი...**

— შარშანაც და შარშანწინაც წავაგე სუპერფინალი. 2004 წელს „დინამოში“ ჩემპიონობის კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ ზედმეტი თავდაჯერების გამო „ბასკოსთან“ დასანანად წავაგეთ. ამჯერადაც რომ წამეგო, ეგებ ჩემპიონი ველარც გავმხდარიყავი, ეს შანსი არ უნდა გამენიავებინა. ჩემი ახალგაზრდა თანაგუნდელებისთვის კი წაგება ტრაგედია არ იქნებოდა. მათ ყველაფერი წინ აქვთ, მე კი უკვე მინდა, არ მინდა, კარიერის დასრულებაზე უნდა ვიფიქრო.

**— ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ გაგიჭირდა თამაში?**

— ხშირად მიჭერდა ანატოლი ბოისა, ასევე მიხეილ ჭოჭუა და რამაზ გოგობერიშვილი. რუსთაველებს არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავთ, წინა ხაზში საკმაოდ ძლიერი კალათბურთელები თამაშობენ, მაგრამ გუნდის წინამძღოლი მაინც რამაზ გოგობერიშვილი იყო. თუ მას თამაში მისდიოდა, მთელი „აზოტი“ დალხენილად იყო. ჩვენდა გასახარად, რამაზ გოგობერიშვილის გაუვნებლება მთლიანობაში მოვახერხეთ და სერიაც ამის წყალობით მოვიგეთ.

**— შენი აზრით, რომელი იყო სუპერფინალის გადამწყვეტი ეპიზოდი?**

— ლევან მოსეშვილის ინტერვიუში წავიკითხე, რომ გამარჯვება მაშინ ირწმუნა, როცა მესამე მეოთხედის ბოლო წამზე მე სამქულიანი ჩავაგდე და „ავიამშენი“ დავაწინაურე. ამ ბურთის ჩაგდებამ მართლაც დიდი როლი ითამაშა, მაგრამ ეს უფრო ფსიქოლოგიური მნიშვნელობის იყო. არადა, ეს სამქულიანი ურთულესი სიტუაციიდან ვისროლე და რომ ჩავარდა, ამაში იღბალიც დამეხმარა. ასეთი ბურთები ძალიან ბევრჯერ ჩამიგდია, მაგრამ ეს გამორჩეული იყო

**— ისევე როგორც ჩემპიონობა?**

— ეს ჩემპიონობა მართლაც გამორჩეულია. აქამდე „დინამოში“ მოვიგე ოქროს მედალი, მაგრამ „ავიამშენში“ წარმატებას ის გემო აქვს, რომ ჩვენ ამ გუნდის ისტორიის შექმნა დავიწყეთ. სულ ორი წელია, „ავიამშენი“ შეიქმნა და შარშანდელ ვერცხლს წლეულს ოქრო დავამატეთ.

**— ნაკრებში თამაშზე არ ფიქრობ?**

— მართალია, ბოლო წლებში ნაკრებში არ მითამაშია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მზად არ უნდა ვიყო ეროვნული გუნდისთვის. ძალიან მესიამოვნება, თუნდაც ერთი წუთით თუ გამოვადგები ნაკრებს, მაგრამ ამის შანსი მომეცემა თუ არა, ძნელი სათქმელია.

**— ჩემპიონობისთვის სუპერთასის მიბმაც შეგეძლოთ, მაგრამ...**

— სუპერთასის მოგება, რა თქმა უნდა გვინდოდა, მაგრამ, ჩემპიონობისგან განსხვავებით, ეს არ ყოფილა ჩვენი უმთავრესი ამოცანა. კარგი იქნებოდა, მოგვეგო, მაგრამ მობილიზება ვერ მოვახერხეთ და სუპერთასიც თსუ-ს ერგო. თუ ამ თასის გათამაშების დროს გადახედავენ, კარგი იქნება. არ ვიცი, რამდენად მართებულია, რომ მომქანცველი სეზონისა და სუპერფინალის შემდეგ ახალი ტიტულისთვის იბრძოლო. თუ ცოტა მოგვიანებით გაათამაშებენ სუპერთასს, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება.

**— დაბოლოს, განვლილი ჩემპიონატის დონეზე გკითხავ...**

— ეს ის შემთხვევაა, როცა დონეს არც მოუმატია და არც დაუკლია.

**ირაკლი პერტაია**

# კალათბურთის დღე მომავლის სახლში



**კეთილ საქმეს** დაადგა თავი კალათბურთის ფედერაციამ სტრიტბოლის ასოციაციასთან ერთად. გუშინ ამ ორგანიზაციათა ხელდამშვენებული წარმომადგენლები და სპორტსმენები ავლაბრის მიუსაფარ ბავშვთა „მომავლის სახლს“ ესტუმრნენ — პატარებს ერთი ლამაზი დღე აჩუქეს.

ავლაბრის „მომავლის სახლი“ ქალაქის ბიუჯეტზეა, დაფინანსება არ ჰყოფნის და არაერთი კეთილი ადამიანის დახმარებით მისი პატარა ბინადრები თავს უზრუნველად გრძნობენ. გუშინ იქ კალათბურთელები მივიდნენ და ბავშვებს ტკბილეულთან ერთად სათამაშო ფორმები და ბურთები მიუტანეს.

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი დავით უსტიაშვილი, ყოფილი კალათბურთელი რევაზ ჩხეიძე, ეროვნული ნაკრების წევრები — კოტე ტულუში და გიორგი მარკოიშვილი, სტრიტბოლის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი ზაბახიძე — აი, ავლაბრელი ბავშვების გუშინდელი სტუმრები.

ამ ამბავს, ცხადია, უკალათბურთოდ არ ჩაუვლია და „მომავლის სახლის“ ხელჩუბინი მცხოვრებნი თბილისის ცნობილ მესტრიტბოლეებს შეერივნენ და ხალისიანი ბურთაობაც გაჩაღდა.

დღეს კალათბურთელები იყვნენ, ხვალ ბიზნესმენები მივლენ და ასე. ამ ბავშვებს ხომ მზრუნველობა სჭირდებათ.



### მსოფლიოს ვარსკვლავები ლელოების წინააღმდეგ

# საუკუნის მატჩი

## 116-წლიანი ისტორია თბილისში

### ბარბაროსთა ტურნე. 4 ივნისი. 18.00. თბილისი. «მიხეილ მესხი»

## საქართველო – ბარბაროსები



პალიკო ჯიმშელაძე იუბილესთვის ემზადება



ილო მაისურაძე ნაკრებს დაუბრუნდა

ბადრი კეთილაძის ფოტოები

# კაცი ვარ და კეპი მჭირავს

**საოთხივნისო** ისტორიული ჯახისთვის საქართველოს ნაკრები გუშინ შეიკრიბა და არასრული რაზმით „შევარდენის“ სტადიონზე ივარჯიშა.

ბარბაროსებთან მატჩისთვის ჩვენი „ლელოების“ სამწვრთნელო შტაბმა 22 სალსალამათი კაცი გამოიძახა. აქედანვე გადაწყვეტილია, რომ „ბარბაროსებთან“ ვერ ითამაშებენ ძირითადი შემადგენლობის მორაგბეები: ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თემურ სოხაძე, ირაკლი აბუსერიძე, გოდერძი შველიძე, დავით ზერაქაშვილი, გია ლაბაძე და კაპიტანი ილია ზედგინიძე. ზედგინიძემ ბიჭებთან ერთად გუშინ კი ივარჯიშა, მაგრამ 4 ივნისის ჯახს მაინც გამოტოვებს, 16 ივნისის ჩეხეთთან საერთასო მატჩისთვის მზად რომ იყოს. ვეტერანი მორკინალი გია ლაბაძეც ტრავმირებულია, დანარჩენები კი ფრანგულმა კლუბებმა არ გაათავისუფლეს.

გამოძახებული რაზმელებიდან გუშინდელ ვარჯიშს ოთხი მორაგბე დააკლდა: ციმბირული „კრასნი იარის“ ქართველები გიორგი ელიზბარაშვილი და ზვიად მაისურაძე, ენისეელი რატი ურუშაძე და ფრანგული „ბერგუენის“ უნივერსალი ბეკი ირაკლი გიორგაძე დღეს შეუერთდებიან საძმოს.

გადაწყვეტილი არაა, მაგრამ კაპიტანი ილია ზედგინიძის არყოფნაში „ბარბაროსებთან“ ჩვენებს ალბათ 31 წლის პალიკო ჯიმშელაძე უყოჩებს. ეს მატჩი ქართველი „ლელოების“ ათიანისთვის 50-ე იქნება და რაგბის წესია, ამ მოვლენის აღსანიშნავად საგანგებოდ კეპს ჩუქნიან. ჯიმშელაძე ნაკრების საუკეთესო მექულეცაა — 12 წლიანი სანაკრებო კარიერის მანძილზე 8 ლელო, 53 გარდასახვა, 44 საჯარიმო, სამი არეკნი და შესაბამისად, 287 ქულა დაუგროვდა.

ერთიც, საბარბაროსო რაზმშია ნანტელი მორკინალი ილო მაისურაძე, რომელიც ორწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა „ლელოებს“. მაისურაძე ვაკეში, რუსეთთან შარშანწინდელი ჯახიდან გემახსოვრებათ, თავგატეხილი ლამის მარტო რომ უშრობდა სისხლს მეტოქეს.

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველო ბარბაროსებთან

*ოთარ ბარკალაია, ირაკლი მაჩხანელი, გიორგი ელიზბარაშვილი, ლექსო გუგავა, რევაზ გიგაური, ირაკლი გიორგაძე, ოთარ ელოშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, ბიძინა სამხარაძე, გიორგი კაჭარავა, მამუკა მაგრაქველიძე, აქვსენტი გიორგაძე, მიხეილ სუჯაშვილი, ავთო კოპალიანი, დავით ხინჩაგაშვილი, მამუკა გორგოძე, ლევან დათუნაშვილი, შალვა პაპაშვილი, რატი ურუშაძე, ილია მაისურაძე, ბესო უდესიანი, ზვიად მაისურაძე*

# მობრძანდით, ბარბაროსებო!

## შემოსევა, რომელსაც წლობით ელიან

„გაუმარჯოს ბარბაროსებს, რომლებმაც შემოილეს შეტევის იდეა, ლაღი და თავისუფალი თამაში, ალალი რაგბი, ჯენტლმენური ქცევა მოედანზე და მხოლოდ ღირსეულებისთვის დამახასიათებელი მეგობრობა მოედნის მიღმა“ — ეს სადღეგრძელო 116 წლის წინ ოქსფორდის პაბში შეისვა, როდესაც სარაგბო კლუბი „ბარბაროსები“ დაარსდა.

ახლა კი იქითა კვირას, 4 ივნისს, ქართულ სარაგბო ალაგზე, ვაკეში, დიდი თამაშია. პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, თბილისში ჩამოდის „მოხეტიალე ცირკად“ წოდებული, მსოფლიოში უგანთქმულესი სარაგბო კრებული „ბარბარიანსი“, ჩვენებურად „ბარბაროსები“, რომლებიც თავიანთ თავს სარაგბო მისიონერებს უწოდებენ.

„ბარბაროსები“ 1890 წელს შეიქმნა საქველმოქმედო მიზნით. კლუბს დღემდე არ აქვს საკუთარი ოფისი და მოედანი, მაგრამ წელიწადში ერთხელ მოედანზე და მის მიღმა მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებს კრებს და ოვალური ბურთის პატივისმცემელ ქვეყნებში ტურნეს მართავს.

„ბარბაროსების“ სტილი და პრინციპი გემრიელი რაგბობაა. ისინი თამაშობენ ხელდახელ, ათასში ერთხელ გადააქვთ ბურთი აუტში და ჯარიმას კარში კი არ ურტყამენ, ათამაშებენ. მათი საქართველოში ჩამოსვლა იგივეა, 80-იან წლებში თბილისში ნბა-ს გუნდის „ატლანტა ჰოუქსის“ ვიზიტი რომ იყო, ან რუსთავის ტრასაზე მიხეილ შუმახერმა და ფერნანდო ალონსომ რომ იჯირითონ.

116-წლიანმა ბარბაროსულმა მატიანემ 17 ქვეყანაში 700-მდე მატჩი დაიტია. თავიდან მსოფლიოს სარაგბო კრებული, ძირითადად, ბრიტანულ კლუბებთან თამაშობდა. მათვე ევალებოდათ ბრიტანეთში ნასტუმრევი სამხრეთელი ბობოლების — ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის გაცილება. ამათი ბრიტანული ტურნე სწორედ შავ-თეთრ ზოლებიან კვართებში გამოწყობილ „ბარბაროსებთან“ ჯახით მთავრდებოდა და ლელოთა ცვენით დაპურებული ფანობაც ძალიან ნასიამოვნები ტოვებდა სტადიონს.

1948 წლიდან „ბარბაროსები“ ბრიტანეთს გასცდნენ და შობასა და აღდგომაზე ტრადიციულ ტურნეებს მართავენ ქვეყნებში, რომლებსაც მათი მისიის ღირსად თვლიდნენ.

„ბარბაროსები“ ამ მისიით შარშანწინ პორტუგალიაში იყვნენ, წლეულს კი ჩვენი რიგიც დადგა და „ვარსკვლავური შოუ“ ჩვენ ნაქებ „ლელოებსაც“ ჩაუტარებს ღია გაკვეთილს. თქმა არ უნდა, ქართველებს ძალიან წაადგებათ რაგბის მისიონერებთან თამაში, რადგან სამუშაო ჯერაც ბევრია, ქართველი ქომაგი კი ბოლომდე შეიგრძნობს რაგბის სულსა და ესთეტიკას.

შოუ უფრო მაგარი იქნებოდა, რაგბის საერთაშორისო საბჭოს ჩვენი მატჩის წინა დღეს იოჰანესბურგში მანდელას ფონდის საქველმოქმედო მატჩი რომ არ დაენიშნა. ჩვენთან გამომგზავრებამდე „ბარბაროსებს“ რამდენიმე კაშკაშა ვარსკვლავი დააკლდებათ, მაგრამ ვინც ჩამოდიან, მათშიც ბევრია ლეგენდა.

„ბარბაროსებს“ თბილისში 24 მორაგბე მოჰყავთ და ამათში ყველაზე გამოსარჩევი შარშან ექვსი ერის მომგები უელსელი რის უილიამსი, ირლანდიელი კევინ მაგსი, ინგლისელი ლიონ ლოიდი, ტომით ზელანდიელი, ახლა კი საფრანგეთის ნაკრების ბერმუხა ტონი მარში და სამხრეთ აფრიკის ლეგენდარული მორკინალი ბობ სკინსტადია. 30 წლის სკინსტადს სამხრეთ აფრიკის ნაკრებში 34 მატჩი უთამაშია და 7-გზის ბარბაროსია. ლეგენდარული მორკინალი სამხრეთელ მდედრთა ოცნების კაცია და დასავლეთ კონცხისა და „შტორმერზის“ მშვენებაა. სკინსტადმა 1999 წლის მსოფლიოს თასზე უკაპიტნა „ქურციკებს“, ხოლო ოთხჯერ „ბარბაროსებს“ გაუძღვა ჯახში და მისი ყოჩობით მსოფლიოს ნაკრები ერთხელაც არ დამარცხებულა.

„ბარბაროსები“ თბილისში ავსტრალიელ გურუს პეტ ჰოვარდს მოჰყავს. ამ ჭკვიან კაცს ავსტრალიის ნაკრებში 20-ჯერ უთამაშია, ხოლო ინგლისში გადაბარგების შემდეგ იქაური ჩემპიონატის ორგზის საუკეთესო მოთამაშე გახდა. თავადაც ექვსჯერ უთამაშია „ბარბაროსებში“, ახლა ინგლისური „ლესტერის“ მოძღვარია და მთელ მსოფლიოში უკანა ხაზის აღიარებული გამწვრთნელია.

**ბაჩო სვანიძე**



ვინ დაუდგება კევინ მაგსს?

## როლან გაროსი 2006. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 8 137 652 $

30 მაისი

### კაცები

### პირველი წრე

ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) — რობი ჯინეპრი (17, აშშ) 6:3 6:7 6:1 6:4; დავიდე სანგინეტი (იტალია) — დანიელ ბრაჩიალე (იტალია) 3:6 7:6 6:3 6:3; დიტერ კინდლმანი (გერმანია) — რაზვან საბაუ (რუმინეთი) 6:3 6:2 6:2; ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) — ნიკოლა მაჰუტი (საფრანგეთი) 6:3 7:6 6:7 7:6; ოლივიე როხუსი (27, ბელგია) — ჟან-კრისტოფერ ფორელი (საფრანგეთი) 6:1 6:4 6:2; მარკოს ბაღდატისი (19, კვიპროსი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:4 6:4 6:7 6:1; ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:2 6:4 6:7 6:3; ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:1 6:3 6:7 6:4; ხუან მონაკო (არგენტინა) — მელე ვან გემერდენი (ჰოლანდია) 6:3 6:2 6:4; ივან ლიუბიჩიჩი (4, ხორვატია) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 6:2 6:0 6:3; დიკ ნორმანი (ბელგია) — ედგარდო მასა (არგენტინა) 6:1 6:3 6:3; ტომი ჰაასი (13, გერმანია) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4 6:3 6:3; ალექსანდერ ვასკე (გერმანია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4 4:6 7:6 7:6; ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — ოლივიე პატიენსი (საფრანგეთი) 7:6 7:6 7:6; დომინიკ ჰრბატი (22, სლოვაკეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:4 6:2 3:6 2:6 6:2; ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:4 6:2 6:3; პოლ-ანრი მატიო (29, საფრანგეთი) — ბიორნ ფო (გერმანია) 6:2 6:1 6:4; მატიო მონტკორტი (საფრანგეთი) — მარკოს დანიელი (ბრაზილია) 6:2 6:4 1:6 6:2; გაელ მონფილზი (25, საფრანგეთი) — ენდი მიურეი (ბრიტანეთი) 6:4 6:7 1:6 6:2 6:1; ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) — ლუის ჰორნა (პერუ) 6:3 5:0 *(უარი)*; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ენდი როდიკი (5, აშშ) 6:4 7:5 1:0 *(უარი)*; კრისტოფერ როხუსი (ბელგია) — ტომას იოჰანსონი (18, შვედეთი) 3:6 5:7 6:4 6:4 6:2; დავიდ ფერერი (15, ესპანეთი) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 7:5 6:1 6:0; ფლორენ სერა (საფრანგეთი) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) 6:1 1:6 7:5 6:4; ჟერემი შარდი (საფრანგეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:2 7:5 6:2; რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) — ტიერი ასიონე (საფრანგეთი) 7:6 6:4 6:7 6:3; ფერნანდო გონსალესი (9, ჩილე) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3 1:6 6:3 6:1; ლეიტონ ჰიუიტი (14, ავსტრალია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 7:6 3:6 6:2 6:0

### ქალები

### პირველი წრე

ანა ივანოვიჩი (19, სერბეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:0 6:3; მელინდა ცინკი (უნგრეთი) — სანდრა კლოსელი (გერმანია) 6:4 4:6 6:2; ანასტასია მისკინა (10, რუსეთი) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:4 6:1; ანა-ლენა გრონეფელდი (13, გერმანია) — კამილი პინი (საფრანგეთი) 6:1 6:1; ჯამეა ჯექსონი (აშშ) — ჟი იანი (ჩინეთი) 6:2 6:3; შენეი პერი (აშშ) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:3 6:1; ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) — მარია სანჩეს-ლორენცო (ესპანეთი) 6:3 6:2; ტატიანა გოლოვინი (23, საფრანგეთი) — ჟი ჟენგი (ჩინეთი) 6:3 7:6; ივანა ლისიაკი (ხორვატია) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 6:2 6:3; ზუზანა ონდრასკოვა (ჩეხეთი) — ჯულია შრუფი (გერმანია) 6:4 6:2; მარტინა ჰინგისი (12, შვეიცარია) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:2 6:2; დანიელა ჰ ანტუხოვა (15, სლოვაკეთი) — ლურდეს დომინგეს-ლინო (ესპანეთი) 6:1 6:4; კაია კანეპი (ესტონეთი) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 6:2 6:3; ჟუსტინ ენენ-არდენი (5, ბელგია) — მარიტ ანი (ესტონეთი) 6:3 6:0; მარია კირილენკო (რუსეთი) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) 1:6 6:2 8:6; იულიანა ფედაკი (უკრაინა) — კრისტინა ბრანდი (პუერტო-რიკო) 6:2 6:3; აკიკო მორიგამი (იაპონია) — ნადია პეტროვა (3, რუსეთი) 6:2 6:2; შაჰარ პირი (31, ისრაელი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:1 6:1; ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:4 6:2; ანაბელ მედინა-გარიგესი (26, ესპანეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელორუსია) 6:4 6:2; ემილი ლუაიტი (საფრანგეთი) — კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) 6:3 6:2; ანასტასია იაკიმოვა (ბელორუსია) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4 5:7 6:3; გიზელა დულკო (32, არგენტინა) — იულია ბეიგელზიმერი (უკრაინა) 6:3 2:6 11:9; ტატიანა გარბინი (იტალია) კლარა კუკალოვა (30, ჩეხეთი) 2:6 6:4 6:1; მატილდა იოჰანსონი (ბრიტანეთი) — სუ-ვეი ჰსი (ტაივანი) 6:4 6:4; ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) — ალიზ კორნეტი (საფრანგეთი) 4:6 6:4 0:0 გადაიდო;

# ეს მარტინა იმ მარტინას...

## ჰინგისმა წარსულს დასცინა, მორიგამიმ კი პეტროვას



AFP ბარი ზიდან

მარტინა ჰინგისი ოპტიმისტობს

**ბევრი** აქეს და ბევრი ავანსებიც გასცეს ნადია პეტროვაზე. რა აღარ უწოდეს მას — მთავარი რუსული იმედი, ყველაზე სტაბილური თუ ყველაზე უკეთ მომზადებული ჩოგბურთელი.

პეტროვა ორგანიზატორებმაც შესაბამისად დააფასეს და მესამე ნომრადაც განთესეს. ეს პატივი რუსმა წლეულს სამი საგრუნტო ტიტულის მოგებით დაიმსახურა. თვითონ ნადიაც დიდი იმედებით ჩავიდა პარიზში და ხმამაღლა განაცხადა — ჩემი ცხოვრების მიზანი, „დიდი სლემის“ ტურნირის მოგება, იქნებ აქ ავისრულოო, მაგრამ...

პეტროვას მიზნის ასრულება არ ეწერა. ყოველ შემთხვევაში არა ახლა და არა პარიზში. რუსის ყველა იმედს პირველივე წრეში გადაესვა ხაზი, როცა მსოფლიო რეიტინგის 69-მა ნომერმა, აკიკო მორიგამიმ ნადია ციდან ცოდვილ მიწაზე არათუ დააბრუნა, არამედ დაახეთქა. იაპონელმა სულ რაღაც 4 გეიმი „უძლვნა“ ტურნირის მესამე ნომერს და პირველი დიდი სენსაციის ავტორობასაც ხელი მოაწერა.

მარტინა ჰინგისი კი ხუთწლიანი შესვენების შემდეგ პარიზში ტრიუმფალურად დაბრუნდა და პირველ წრეში საჩემპიონო თუ არა, ძალიან სოლიდური თამაში ნაღდად აჩვენა.

ორგანიზატორებმა, მარტინა დაბრუნდაო და შვეიცარიელს თავიდანვე ცენტრალურ კორტზე უკრეს თავი. ჰინგისიც არ დაბნეულა და ისე ითამაშა, ასეთ შემთხვევას რომ დაამშვენებდა.

„ისე ვგრძნობდი თავს, რომ აქ ბოლოს ხუთი წლის წინ კი არა, გუშინ მეთამაშოს — რატომღაც სულ არ ვნერვიულობდი“ — თქვა ჰინგისმა ნამატჩევს.

შვეიცარიელმა მართლაც რომ კარგად ითამაშა და საკმაოდ უხერხული მეტოქის — ლიზა რეიმონდის წინააღმდეგობა იოლადაც დაძლია.

ჰინგისს დამატებითი მოტივაციაც აქვს — „როლან გაროსი“ ხომ ერთადერთი ტურნირია „დიდი სლემიდან“, რომელიც მისთვის დაუპყრობელი დარჩა. ამიტომ წლეულს მარტინამ აქ თუ იმარჯვა, კარიერულ „დიდ სლემსაც“ შეაგროვებს.

„ახლა მართლა კარგ ფორმაში ვარ. დღევანდელი მარტინა 5 წლის წინანდელს უეჭველად მოუგებდა — მეტი გამოცდილებაც დამიგროვდა და ფსიქოლოგიურადაც უკეთესად ვარ მომზადებული... კი, აქ არასოდეს მომიგია, მაგრამ არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი იმათ შორის, ვისაც ფრანგული გრუნტი თავჩახრილი დაუტოვებია. წლეულს იმის გაკეთებას ვეცდები, რაც ადრე არ გამომივიდა“ — ხმამაღლა საუბრობს თავის მიზნებზე ჰინგისი.

კარგად დაიწყო ორი წლის წინ „როლან გაროსის“ მომგებმა ანასტასია მისკინამაც, რომელსაც ინდოელმა ამომავალმა ვარსკვლავმა სანია მირზამ ვერაფერი დაუპირისპირა.

საინტერესო მატჩები გაიმართა კაცებს შორისაც. განსაკუთრებული გამოყოფის ღირსი კი ტომი ჰაასის იოლი გამარჯვებაა გერმანულ დერბიში რაინერ შუტლერთან. ჩანს, ტომის დასვენება მოუხდა.

საწყისი შეხვედრა მოიგო სეზონის ერთ-ერთმა უმთავრესმა სენსაციამ, მარკოს ბაღდატისმაც, რომელმაც ემოციური თამაშით მაყურებლები კვლავაც აღფრთოვანებაში მოიყვანა. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა ალბერტო პორტასს საკმაოდ იოლად კი აჯობა, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, მელბურნის გმირობები გაიმეოროს. თუმცა ან იქ ვინ ელოდა მის ფინალში გასვლას. ასე რომ, ვინ იცის, რა მოხდება...

კიდევ ერთხელ გაამართლა თავისი მეტსახელი ხორვატმა გიგანტმა ივო კარლოვიჩმა — „მისტერ ტაიბრეიკმა“ ამჯერად სამივე სეტში ითამაშა ტაიბრეიკი და ყველაში იმარჯვა. ხორვატს აქაც თავისი მოწოდების სიძლიერის იმედი აქვს — გუშინაც 26 ეისი ჩააგდო, მაგრამ კარლოვიჩი გრუნტზე მხოლოდ ამით ფონს დიდხანს ნამდვილად ვერ გავა — დიდი-დიდი კიდევ ორი წრე გაიაროს.

**ბაჩა ლომჯარიძე**



## საჭადრაკო ოლიმპიადა 2006

20 მაისი — 4 ივნისი. ტურინი. იტალია

### VIII ტური

**კაცები**

უზბეკეთი 1,5:2,5 საქართველო

რუსტამ კასიმჯანოვი 0,5:0,5 ბაადურ ჯობავა
ტიმურ გარეიევი 1:0 ლევან ფანცულაია
ანტონ ფილიპოვი 0:1 მერაბ გაგუნაშვილი
სერგეი კაიუმოვი 0:1 დავით არუთინიანი

კუბა 1:3 სომხეთი
ჩეხეთი 2:2 რუსეთი
შვედეთი 1:3 უკრაინა
საფრანგეთი 2:2 ჰოლანდია

**ქალები**

საქართველო 1,5:1,5 ბულგარეთი

ნინო ხურციძე 0,5:0,5 ანტოანეტა სტეფანოვა
ნანა ძაგნიძე 0:1 მარგარიტა ვოისკა
ლელა ჯავახიშვილი 1:0 ემილია ჯანგაროვა

რუსეთი 1,5:1,5 აშშ
უნგრეთი 1:2 უკრაინა
ვიეტნამი 2:1 სლოვენია
ჩინეთი 3:0 ლატვია

# ზევით ავიწიეთ. კუში დაგვიწიეს

**ქართველმა** ვაჟებმა უზბეკები დაამარცხეს 2,5:1,5 და ცხრილში ერთი საფეხურით აიწიეს. შუააზიელებს ოლიმპიადაზე ფავორიტებად ნამდვილად არ თვლიან, თუმც გუნდში ფიდეს ექსჩემპიონი რუსტამ კასიმჯანოვი ჰყავთ და მათგან ბევრ სიურპრიზს ელიან. მერვე ტურში უზბეკთა ლიდერი თეთრი ფიგურებით ბაადურ ჯობავას დაუპირისპირდა. კასიმჯანოვმა კლასიკური e4-ით დაიწყო შეხვედრა, მეოთხე სვლაზე პაიკი გაცვალა და ფლანგების განვითარებას შეუდგა. საპასუხო მანევრებს ჯობავამაც მიმართა, მეტოქეს გზები გადაუკეტა და 24-ე სვლაზე ყაიმზე დაიყოლია. ჩვენებიდან იმარჯვეს მერაბ გაგუნაშვილმა და დავით არუთინიანმა. გაგუნაშვილმა შავი ფიგურებით ანტონ ფილიპოვი დაამარცხა, არუთინიანმა კი თეთრებით — სერგეი კაიუმოვი. მერვე ტურის შემდეგ ჩვენები ლიდერ სომხებს 2,5 ქულით ჩამორჩებიან, მეორეადგილოსან რუსებს კი სულ რაღაც ნახევარი ქულით.

ქართველთა ძლიერი გამოსვლა ბუქმეიკერებმაც დააფასეს და ოლიმპიადის მოგებაზე კუში 110-დან 13,5-მდე შეუმცირეს.



მერაბ გაგუნაშვილი

ჩვენმა მანდილოსნებმა კი უკვე მესამე გუნდური ყაიმი ითამაშეს და ისევ მეხუთე პოზიციაზე დარჩნენ. როგორც ვაჟებში, აქაც ქართველ დიდოსტატს პირველ დაფაზე მსოფლიოს ექსჩემპიონთან მოუწია ბრძოლა. ნინო ხურციძისა და ანტუანეტა სტეფანოვას პარტია ხანმოკლე გამოდგა, მეტოქეებმა მე-10 სვლაზე გაიყვეს ქულა და მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. იყოჩაღა ლელა ჯავახიშვილმა, ელენა ჯინგაროვა 45-ე სვლაზე დაამარცხა და გუნდი დამარცხებას გადაარჩინა.

**ლუკა გეგეჭკორი**

### სატურნირო მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ

| კაცები | | ქალები | |
| --- | --- | --- | --- |
| 1. სომხეთი | 24 ქულა | 1. რუსეთი | 19 |
| 2. რუსეთი | 22 | 2. უკრაინა | 18,5 |
| 3. უკრაინა | 22 | 3. აშშ | 17 |
| 4. ჩინეთი | 21,5 | 4. ჩინეთი | 17 |
| 5. საქართველო | 21,5 | 5. საქართველო | 16,5 |

### IX ტური

**კაცები**

საქართველო 0:4 ჩინეთი

ბაადურ ჯობავა 0:1 ქსიანგჟი ბუ
გიორგი ყაჭეიშვილი 0:1 ჟონგ ჟანგი
მერაბ გაგუნაშვილი 0:1 იუე უანგი
თამაზ გელაშვილი 0:1 ჰუა ნი

**ქალები**

უნგრეთი 0,5:2,5 საქართველო

ჰოან თან თრანგი 0,5:0,5 ნინო ხურციძე
ილდიკო მადლი 0:1 ლელა ჯავახიშვილი
ანიტა გარა 0:1 მაია ლომინეიშვილი



ლიუბა გოლოვინა

# მსაჯი, მსაჯი გვინდა!

## ქართველები ქართველებს ადვოკატობენ

*საფრანგეთის ქალაქ მეცში ორიოდ დღის წინ დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. სარბიელი ჯერ ახალგაზრდების პირველობას დაეთმო, მერე — უფროსებისას. საქართველოს წარმომადგენლები ორივეგან გამოდიოდნენ და უფროსთა გუნდის წევრები თავიანთ ხელმძღვანელობასთან ერთად გუშინ დაბრუნდნენ თბილისში. მათ შორის იყო მსოფლიოსა და ევროპის სამსამგზის ჩემპიონი რუსუდან ხოფერია, რომელიც ამ შეჯიბრებაზე მსაჯად მოგვევლინა. რუსუდან ხოფერიასავით ტიტულოვანი სპეციალისტი ამ სახეობაში არც ისე ბევრია, საქართველოში სულაც ერთადერთი გახლავთ და, ბუნებრივია, მასთან ინტერვიუც ერთიორად საინტერესო იქნება მკითხველისთვის*

— საუბარი ახალგაზრდების გამოსვლით დავიწყოთ. მით უმეტეს, რომ ჩემპიონატი სწორედ მათ გახსნეს და მათვე გაგვახარეს ყველაზე მეტად, როცა გოგონათა პირადი პირველობა მოიგეს და გუნდურშიც ბრინჯაოს დაეუფლნენ.

— სხვათა შორის, როცა ჩვენმა ლიუბა გოლოვინამ ბრწყინვალე გამოსვლით გაიმარჯვა, მერე კი მასთან ერთად თამარ კაკაშვილმა და ნანა ლუჭაშვილმა გუნდური ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, ჩვენთან რუსეთის ბატუტზე მხტომელთა ფედერაციის პრეზიდენტი მაკაროვი მოვიდა და იხუმრა, გეყოფათ ქართველებს მედლები, ცოტა ჩვენც დაგვიტოვეთო. გუნდურ პირველობაში ჩვენმა წარმატებამ ყველა გააოცა. საქმე ისაა, რომ გუნდურ პირველობაში მებრძოლთ ოთხ-ოთხი სპორტსმენი უნდა ჰყავდეთ, რომელთაგან ჩათვლაში სამ-სამი საუკეთესო შედეგი შედის, ჩვენ კი მხოლოდ სამი სპორტსმენი გვყავდა. ამასთან, გუნდურ პირველობაში გამოსვლის უფლება მხოლოდ ხუთ საუკეთესოს ეძლევა. სწორედ იმ რჩეულ ხუთეულში დავიმკვიდრეთ ადგილი და ეს უკვე დიდი წარმატება იყო ბრინჯაოს მედლები კი უდიდესი გამარჯვება გახლდათ, მით უმეტეს, რომ მსგავს წარმატებას პირველად მივაღწიეთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი სამეულიდან თამარ კაკაშვილი მხოლოდ ცამეტი წლისაა, ნანა ლუჭაშვილი კი თექვსმეტის. ასე რომ, მათ 17 წლის სპორტსმენებთან პაექრობამ მოუწიათ. ამათგან კაკაშვილმა პირად პირველობაში, სადაც 56 მონაწილე იყო, 34-ე ადგილი დაიკავა, ლუჭაშვილმა კი მე-13. ახალგაზრდულ ჩემპიონატში კიდევ ერთი მონაწილე გვყავდა — გიორგი მარქარიანი, რომელმაც 22-ე ადგილი დაიკავა.

— ამ ერთი თვის წინათ ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ლიუბა გოლოვინამ, რაკი ტრავმის გამო რვათვიანი პაუზის მერე პირველად გამოვიდა სარბიელზე, საშეჯიბრო პროგრამა გაიიოლა, თუმცა, მაშინ მაინც გაიმარჯვა. საინტერესოა, ახლა რომელი პროგრამით შეძლო ევროპის ჩემპიონობა.

— გოლოვინა ახლა თავისი ჩვეული საბრძოლო, რთული პროგრამით გამოვიდა და ყველაფერი ბრწყინვალედაც შეასრულა.

— გოლოვინა, რომელმაც ახალგაზრდებში ყველა უმაღლესი ტიტული მოიპოვა, გაისად უკვე დიდებში გამოვა. საინტერესოა, მას რომ ახლაც დიდებში ეცადა ბედი, რას მიაღწევდა?

— ლიუბა განსაკუთრებით კარგად გამოვიდა გუნდურ ფინალში. და თუ მხოლოდ მის ამ ხტომებს გავითვალისწინებთ, მაშინ იგი უფროსებში მერვე იქნებოდა, წინასწარი შეჯიბრების და ფინალის შედეგების ჯამით კი ოცეულში მოხვდებოდა.

— თქვენი და როზა ბერიკაშვილის სახით საქართველო ამ ჩემპიონატზე მსაჯებითაც იყო წარმოდგენილი. როგორც გავიგეთ, თქვენ მეტად დატვირთიხართ მსაჯობით როგორც ახალგაზრდულ, ისე უფროსთა შეჯიბრებაშიც...

— მართლაც, ასე დატვირთული აქამდე არ ვყოფილვარ. მსაჯობამ პირად პირველობაშიც მომიწია და გუნდურშიც...

— მაგრამ ახლა სულ სხვა რამაა საინტერესო. როგორ ფიქრობთ, თქვენი და როზა ბერიკაშვილის მსაჯობამ რა გავლენა იქონია ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენების წარმატებაზე?

— საერთოდ, ძალზე მნიშვნელოვანია, როცა ესა თუ ის ქვეყანა შეჯიბრებაზე თავისი მსაჯითაცაა წარმოდგენილი. და რაც მეტი მსაჯი ეყოლება მას, მით უკეთესი. ასეთ შემთხვევაში მეტოქე ქვეყნის წარმომადგენელი მსაჯები შენს სპორტსმენს იოლად ველარ ჩაგრავენ და უფრო ობიექტურნი არიან. ამიტომაც ჩვენი გოგონების მიმართ მსაჯებს მიკერძოება არ გამოუჩენიათ. თუმცა ზოგჯერ გამონაკლისებიც ხდება. ასე მოხდა, მაგალითად, უფროსთა ჩემპიონატში, ვაჟთა შეჯიბრებში, სადაც მსაჯობამ არ მოგვიწია. აქ ჩვენმა თენგიზ კოშკაძემ 65 მონაწილეს შორის მე-16 ადგილი დაიკავა და რომ არა მსაჯთა არაობიექტურობა, უფრო მაღალ ადგილზეც გავიდოდა. თუმცა, ვფიქრობთ, კოშკაძისთვის, რომელიც უფროსთა შეჯიბრების დებიუტანტი იყო, მე-16 ადგილი ურიგო სულაც არაა, მით უმეტეს, რომ მის ოცეულში მოხვედრას ვვეგმავდით. კოშკაძემ ბათუმელ ზურაბ ჭყონიასთან ერთად სინქრონულ ხტომებში მე-11 ადგილი დაიკავა. ერთი მონაწილე გვყავდა ქალთა შეჯიბრებაშიც. სოფო გულიაშვილი 26-ე ადგილზე გავიდა.

— მალე ჭამაში მოდისო და, წლეულს კიდევ რას უმიზნებენ ჩვენი ბატუტზე მხტომელები?

— წლეულს კალენდარში კიდევ არაერთი საერთაშორისო შეჯიბრებაა, მათ შორის მსოფლიოს თასის ეტაპებიც. ამ ტურნირებზე ჩვენი სპორტსმენების გამოსვლა მეტად სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ წლევანდელი საშეჯიბრო ბიუჯეტი უკვე ამოვწურეთ. საფრანგეთში ჩვენი დელეგაციის ძირითადი ხარჯები თავის თავზე აიღო საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა, რომელსაც სპორტის დეპარტამენტი და თბილისის სპორტის სამსახურიც შეეხიდა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



2006 NBA Playoffs

# პატ რაილი მეცხრე ცასთან

29 მაისი

**აღმოსავლეთის ფინალი**

**დეტროიტი 1:3 მაიამი**

**მაიამი 89:78 დეტროიტი**

**მაიამი:** უილიამსი, ვეიდი (31), უოლკერი (7), ჰასლემი (16), ონილი (21); პოუზი (7), პეიტონი (6), მურნინგი (1)

**დეტროიტი:** ბილაფსი (14), ჰამილტონი (11), პრინსი (15) რ. ვოლესი (12), ბ. ვოლესი (4 ქულა, 11 მოხსნა); ჰანტერი (10), ევანსი (8), მაკდაიესი (2), დელფინო, დელკი

ერთი მოგებაც და, „მაიამი ჰითი" აღმოსავლეთში „დეტროიტ პისტონზის" მეფობას დაამხობს, თავად კი 18-წლიან არსებობაში პირველად გავა დიდ ფინალში. „ძალიან დიდ პატივს ვცემთ „პისტონზს", მაგრამ ახლა ჩვენ უფრო ანთებული ვართ გამარჯვების ჟინით" — ამბობს მაიამელთა ლეგენდარული თავკაცი პატ რაილი, რომელიც თავის მეცხრე ფინალის კარზე აკაკუნებს.

„დეტროიტის" მრავალნაქებმა დაცვამ კვლავ ვერაფერი მოუხერხა „მაიამის" ყმაწვილ ლიდერ დუეინ ვეიდს, რომელმაც მეტოქეს ამ სერიაში უკვე მესამედ ჩაუგდო 30 ქულაზე მეტი და ლამის პირადად იყარაჯავრი შარშანდელ აღმოსავლურ ფინალში 4:3 წაგებისთვის. მაშინ „დეტროიტი" 2:3 აგებდა სერიას და მაინც მიიყვანა საბოლოო გამარჯვებამდე, მაგრამ წლეულს ეს ნაკლებმოსალოდნელი ჩანს, ვეიდის შეჩერება კი — საერთოდ შეუძლებელი.

მასპინძელთა 24 წლის ბომბარდირმა თავისი 31 ქულიდან 12 ბოლო მეოთხედში უმარჯვა დეტროიტელებს, რომელთაც სამი მეოთხედის 60:62 წაგების შემდეგ გადამწყვეტ 12-წუთეულში გამარჯვების თითქოს არცთუ ურიგო შანსი უჩანდათ.

„პირდაპირ იმ ბავშვივით ვარ, რომელსაც თამაში უხარია და სხვა არაფერი აინტერესებს ამის გარდა. სათამაშო მოედანზე ათენებს და აღამებს და არც ჭამა ახსოვს და არც არაფერი — ამბობს ვეიდი — ოღონდ ისიც გაცნობიერებული მაქვს, რომ ეს თამაში ეზოში კი არა, უმაღლეს დონეზე ტარდება და ვცდილობ, შიგ ჩავდო ყველაფერი, რაც გამაჩნია."

სერიის მეხუთე თამაშს დეტროიტი მასპინძლობს 1 ივნისს.

**კოტე ყორშია**



შაკილ ონილს ხელობა არ ემლება

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge